ნომერში:

საპატიოელგვეიდო ლექსი	3
საალდგომო ეპოსტოლე	4-7
დღე ცხემლნახევი სიხარულისა	8-9
1989 წლის 9 აპრილი	10-11
ქუმარიტად, მეხაბ!	11
გადავარჩინოთ ქართული ენა	12-14
საქართველო იყო მისი სულის სინათლე	14-16
Von Starnberg nach Georgien und zurück	17-19
ქართული სიმღერის ზეიმი	20
მართლმადიდებლობის კვირა მიუნხენში	21
გუნული პარადოქსი	21-22
საკვალდო ამბავი	23-28
პოეზია	23-28

წვიმიანი ღამე

საძოწყლონი საალდგომოს ოყენ,

ქორწილი ალდგა!
ეიხაოოდენ!
ნაძდვილ!
და მაცხოვრის საფლავიდან ჩვენკენ
წმინდა ცეცხლი მოდის კანდელ-კანდელ.
ღელე ქენია მოესავთა მისთა
სულს ეაყთბობს და მოაყლავს წყურვილს,
მიაცვეგებს მიცვეგების ლიოსთა
მენალობუნე საარეო ყოვის.
ადამის ძის აუცანელ ცოდვებს
ლვთაებრივი მოთმინებით იცანს,
და ეათოძილ დედამიწას მოჰფენს
სიკეთის და სიყვაოულის დვრიცას,
იძლი და სიხაოული ოეკავს
ეულებიდან, ცაძრებიდან, ცილან,
ბუკა-ბუკა დაუფანცავს ენოს –
დოუნ! დოუნ! ცილან-ცილან-ცილან!
ოა ეოლეოთა ეაიაოა ჩვენთვის,
სიკვდილი და ამალლება ცაძლინ,
საძოწყლოთა ეუეუნ-ნყოიალს ეოთვის –
ქორწილი ალდგა!
ეიხაოოდენ!
ნაძდვილ!

ყობა ჯუძბუოიძე

საკოდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიათა ზარები და მსოფლიოს ამცნობენ, რომ დადგა დღე დღესასწაულთა დღესასწაულისა.

„დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალნ, შეიმუსრა ჯოჯოხეთი, განქარდა ბნელეთის ძლიერება და კაცობრიობა გათავისუფლდა ეშმაკის ტყვეობისაგან. „სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?!”

ქრისტე აღდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლე დედებს ეხარათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა — თავიანთ სამწყსოებს და, აი, უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!
მაინც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი — ყოვლადძლიერი, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემოქმედი ღმერთი — ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველივეს აღავსებს მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარების წიაღისაკენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფვის მისკენ და ადიდებს მას.

ფსალმუნში ვკითხულობთ „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა; აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი; აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ვარსკულავნი და ნათელნი; აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი... აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუაი, თოვლი, მყინვარი, სული ნიავქარისაი, რომელნი ჰყოფენ სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ფრთოვანნ(ფს. 148, 1-4,7-11).

ამ ღვთაებრივ ჰარმონიას ურჩობისა და ამპარტავნების გამო თავისი ნებით განეშორა პირველქმნილი ადამიანი; თუმცა შემოქმედს მასზე ზრუნვა არ მიუტოვებია. ეს მდგომარეობა ბასილი დიდმა ასე გამოხატა: „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექმნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდგომ შენდა არს ცხოვრებაი ჩემი“.

და აი, თითქმის 2000 წლის წინ მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: ყოვლადდაუტევნელმა განკაცება ინება და კაცობრივი ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარა, ჯოჯოხეთში შთავიდა, რათა მართალთა სულნი ეხსნა და კაცობრიობისათვის დახშული ზეციური კარიბჭენი აღეხვნა. რა შეედრება იმ განძს, რაც მან ამ წუთისოფელში დროებით მყოფ თითოეულ ჩვენგანს გვიბოძა?! როგორ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება ამ გამაოგნებელი თავგანწირვის, სიყვარულისა და მოწყალებისადმი?!

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისთვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მადლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ. ამ სასწაულთა სასწაულს ვზეიმობთ ახლა. ამიტომაც სიხარულითაა მოცული დედამიწა; ჩვენს გამო ხარობს ყოვლადწმიდა სამება და ანგელოზთა დასი, რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი მორწმუნეთათვის წარუვალ ნეტარებაში აღმყვანებელ საშუალებად იქცა. ამიერიდან ესა თუ ის პიროვნება ან ეშმაკის და მისი ანგელოზების ხვედრი შეიქმნება და მარადიული ტანჯვისათვის გაიწირება, როგორც ეს ადრეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წიაღში დამკვიდრდება. სხვა არჩევანი არ არსებობს.

ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება

დავისახოთ, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი "მე"-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს,... ის იმ ღერძს მიღმაა, რომელიც ქრისტეა".

წმიდა მამები იმასაც გვასწავლიან, რომ აბსოლუტურად ბოროტი და ცოდვილი კაცი არ არსებობს და რომ ყველაზე უარეს მათგანშიც კი არის რაღაც ნაწილი სიკეთისა. მაგ., თუ მას გულწრფელად უყვარს შვილები, მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, უყვარს თუნდაც ცხოველები ან ბუნება, ე.ი. მასში არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ათბობს და ანათებს მის დაბნელებულ სულს; ყველას ვალია, ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში გააღვივოს და ღვთაებრივ ცეცხლად აქციოს.

საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სიწმინდისათვის ზრუნვაა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულებში გავამეფოთ. გული არის სულის სავანე, სული კი — ერთგვარი ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი იღვრება. მადლის სიდიდე ჩვენს პიროვნულ ღვაწლზე და ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ბოროტისაგან ჩვენი გულისა და სულის მთავარი დამცველი ჩვენი სინდისია. სინდისი არის ღვთის ხმა და იგი ყოველთვის გვიბიძგებს სწორი ქმედებებისაკენ. მთავარია, ყური დავუგდოთ მას. მაგრამ ადამიანთა ნაწილი სწორედაც რომ საპირისპიროდ იქცევა, — ცდილობს ჩაახშოს იგი; სხვის დასანახად ვითომ ემსახურება უფალს, გული კი განშორებული აქვს ღვთისაგან. მაცხოვარი ბრძანებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისა. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაისწარმეტყველებდითა?...და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენით? მას ჟამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნით თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანˮ (მათე 7,20-23). ღმერთმა გვიხსნას ამ მდგომარეობისაგან.

და მაინც როგორ მივხვდეთ, ჩვენს გულში ვის უდგას ტახტი? ამის პასუხს სახარება იძლევა: გულში, სადაც ცოდვა და ეგოიზმი ბატონობს, ბობოქრობს ღვარძლი, ავსიტყვაობა, შური, შულღი, ამპარტავნება და სხვა ვნებანი, იქ უფლის მადლი არ მკვიდრობს. მაგრამ არის გული სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მიმტევებელი, სამართლიანი, მოწყალების გამცემი, სხვაზე მზრუნველი.

ასე რომ, ძნელი არ არის გავერკვეთ, ვისი მსახურნი ვართ და, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, გადავდგათ გადამრჩენელი ნაბიჯები. საერთოდ, უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. ზოგს ერთ ტალანტს აძლევს, ზოგს — ორს, ზოგს — ხუთს ან ათს; პასუხისმგებლობაც შესაბამისია: ვისაც ერთი ტალანტი ებოძა, მას ათი ტალანტისა არ მოეთხოვება; მსუბუქია მისი ჯვარი და უფლის წინაშე მისი ვალდებულებაც, ხოლო ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოეთხოვება. მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი პასუხისმგებლობა, ნაწილს, — ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ დონის მსახურება ევალებათ.

იერარქიის არსი ქრისტიანობაში, სხვებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებულია და იგი ქვემდგომებისადმი უანგარო სიყვარულსა და მათთვის ზრუნვას გულისხმობს.

უფალი ბრძანებს: „ვინც თქვენს შორის მოისურვებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური, ხოლო ვინც მოინდომებს პირველობას, — ყველას მონა"; და ამის უდიდესი და უთვალსაჩინოესი მაგალითი, პირველ რიგში, თვითონ მოგვცა. ასეთი დამოკიდებულება მოეთხოვება ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს. მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვისა სწორედ ქრისტიანულ სწავლებას ეყრდნობა, მაგრამ ზოგიერთთათვის ეს ცნებები უკვე განსხვავებულ შინაარსს ატარებს.

რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.

მაგალითად, ავიღოთ ქრისტიანული ოჯახი; ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება. ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ეზრუნა ოჯახში ქრისტიანული ღირებულების დასამკვიდრებლად, დაიწყეს უკვე დანგრეული ურთიერთობების ხელოვნურად მოგვარება, რაც შედეგს ვერ გამოიღებს

და ცოლის და ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო არასწორი გზით წარმართავს.

ოჯახის სიმტკიცისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ელემენტარული სოციალური პირობებისა და ზნეობრივი გარემოს შექმნას. პირველ ფაქტორს ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლადაუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისადმი ხალხისათვის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება. რაც შეეხება ზნეობრივ გარემოს, ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მის ორიენტაციაზეა დამოკიდებული.

სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივი, ნიჰილისტური და უხამსი ფილმებითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დააზიანებს. არადა, როგორი მონდომებაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით — მასმედიით ბოროტება და ცოდვითი ცხოვრება აღზევდეს, ვულგარიზებული, ტექნოლოგიური საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონ-პატრონად ფული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორიენტირები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმავლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოჩენა, ოჯახური ანომალიების გახმაურება... არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბორტის გაკეთება და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. „სროგატი დედების“ ინსტიტუტის შექმნა“ უმძიმესი დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება ეგოისტური აზროვნების წახალისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მადლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტება და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუმცა ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხედავ ბევრს ისეთს, რომელნიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტი სიკეთის მთესველნი გახდებიან. ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებისა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მათ სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მაინც ინარჩუნებს ტრადიციულ ღირებულებებს და ქართული იდეის მატარებელნი არიან. საერთოდ, ყველა ერს თავისი იდეა აქვს.

რა არის ჩვენი იდეა და რაში ვლინდება იგი?

ეს შეიძლება გამოვთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვით — ჭეშმარიტების მსახურება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგანწირვაში.

დიახ, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც გვიანდერძა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ერი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის. პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართული მონასტრის წარწერაც ამაზე მიგვანიშნებს: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ქართული იდეის განვრცობის არეალი გიორგი მერჩულემ ასე განსაზღვრა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“, ხოლო, ენასა ამას შინა „ყოველი საიდუმლო დამარხულ არს“ (იოანე-ზოსიმე). აქ, არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხედველობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი. ქართველისათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პატრონობს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მას სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ დროებით დაკარგულ თავის ტერიტორიებსა და ხალხს კი ყოველთვის თავისად მიიჩნევს. ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებ“. დიახ, ქართული იდეისთვის უცხოა ექსპანსია და აგრესია. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია უანგარობის, გულწრფელობის, ვაჟკაცობისა და ზნეობრიობის გამოხატულება.

ქართულ იდეაში ასევე სრული სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანული მცნება მოყვასის სიყვარულისა. ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ეს დამოკიდებულება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი

ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“ (რუსთაველი), რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახურებას გულისხმობს. ბოროტ საქმეში მეგობრობა და ერთგულება კი ეშმაკთან თანაზიარებაა. ქართულმა იდეამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბა ჩვენი ხასიათი, ჩვენი კულტურა და ყოფა.

ქართული იდეა არის იმ ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გაგრძელება, რომელიც უფალმა დაუდგინა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს... ოღონდ ეს არის ახალ ისრაელად სახელდებული ერის მსახურება (ცხოვრების წესი) ზეციური იერუსალიმის დასაკვიდრებლად. ასეთია ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა; გზა ძნელი, მაგრამ საამაყო, ვიწრო, მაგრამ გადამრჩენელი, დროებითი ტკივილით დამძიმებული, მაგრამ ქრისტესმიერი მარადიული სიხარულით სავსე. სწორედ ამ სულისკვეთების მქონე პიროვნებები ქმნიან ღვთისმშობლის წილხვედრ ქართველ ერს, ხოლო ის ქართველები, რომლნიც ასეთი წესით არ ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ, თავისთავად განეშორებიან ან უპირისპირდებიან მის წიაღს და ქართული იდეის ნაწილად ვერ მიიჩნევიან. ისინი არიან ვაზის ნასხლავნი, რომელთა შორის სიცოცხლე არ არის. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული იდეისათვის მარტო გენეტიკურ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გავიხსენოთ მეფე ლუარსაბ დიდის ერთ-ერთი შვილი დავითი და მეფე თეიმურაზ I. ეგოისტური და ანგარებიანი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითი ღვიძლ ძმასაც დაუპირისპირდა და საქართველოსაც, სარწმუნოებაც შეიცვალა და დაუდ-ხანად ქცეული მტრის ინტერესების დამცველი და მათი იდეის განმხორციელებელი გახდა. მაშინ, როდესაც თეიმურაზ I რწმენისა და მამულის დაცვას დედაც და შვილებიც შესწირა და თავისი ცხოვრებაც მუდმივ ბრძოლასა და ტანჯვა-წამებაში გაატარა, ბოლოს კი ბერობაში აღესრულა; მისი ცხოვრება ხალხისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა.

ასე რომ, ქართული სამყარო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ერის წიაღი, მხოლოდ გენეტიკური ნიშნით არ შემოიფარგლება. სწორედ ეს აზრია ჩადებული ფარისევლებისადმი თქმულ მაცხოვრის ამ სიტყვებში: „უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ, სიტყუაი ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის, უკეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთაცა აბრაჰამისთა იქმოდეთ, თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთვის არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე 8, 37,39,44,47). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული იდეის შემოქმედნი იყვნენ არაქართველნიც. მაგალითად, სპარსი რაჟდენ პირველმოწამე და ევსტათი მცხეთელი, ტომით სომეხი დიდებულის ასული შუშანიკ დედოფალი, არაბი აბო, ასურელი წმიდა მამები და სხვანი.

სწორედ ქართული იდეიდან მომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა. საუკუნეთა განმავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს თანაშემოქმედნი იყვნენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი. ამაზე მეტყველებს აქ არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრები და წარწერები, ქართველ მეფეთა ტიტულატურა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში, ბედიის მონასტერში დაკრძალული ერთიანი საქართველოს პირველი მონარქის, — ბაგრატ III-ის საფლავი. ამაზე მეტყველებს ჩვენს შორის არსებული სისხლისმიერი ნათესაობა და ნათელ-მირონობა....

ჩვენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და საერთო წმინდანების მიმართ ვლოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი ვერ გაგვთიშავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. მე განსაკუთრებით ვლოცულობ თქვენთვის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს უშუალო სამწყსოს — ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, საქართველოს ყველა კუთხის შვილს, ვულოცავ ჩვენს მართლმადიდებელ სამწყსოს: ოსებს, ბერძნებს, ასირიელებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, იეზიდებს, აზერბაიჯანელებს, მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე უდებს... უცხოეთში დროებით მყოფ თანამემამულეთ, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, ფერეიდანის, მაზანდარანის, ჰერეთის მკვიდრთ და უფალს თქვენთან ერთად შევღაღადებ: „აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩუენცა ღირს მყვენ ქუეყანასა ზედა წმიდით გულით დიდებად შენდა!”

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2011 წელი

დღე ცრემლნარევი სიხარულისა

1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედია მსოფლიოსათვის არამარტო პოლიტიკურად, არამედ, ზნეობრივი თვალსაზრისითაც მიუღებელია.

9 აპრილის შესახებ დღემდე არ გამოქვეყნებულა სოლიდური და ობიექტური გამოკვლევა. (თუმცა იყო რამდენიმე არაზუსტი ცდა ამ დღის სამართლებრივი შეფასებისა) ბუნებრივია, ამის პრეტენზია არც ჩვენს ნაშრომს არ გააჩნია, თუმცა ვეცდებით ბევრ ისეთ ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც ხშირ შემთხვევაში მიზანმიმართულად იჩქმალება.

1988-89 წლებში აზვირთებული ეროვნული მოძრაობა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა იმპერიისათვის, ამიტომაც ის ცდილობდა არეულობა გამოეწვია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იმ ხანად დაძაბული ვითარება იყო აფხაზეთში, 4 აპრილის დილის 10 საათზე დაიწყო აქცია უმაღლესი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, იყო მცდელობა იმისა, რომ აქცია მხოლოდ აფხაზეთის პრობლემით შემოფარგლულიყო, მაგრამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძალიხმევით აფხაზეთის საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეიცვალა. ქართველ ხალხს დასაწყისში კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა.ზვიადსა და მერაბს დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდათ მოსახლეობასთან. 4 აპრილს მიტინგი ჩატარდა თსუ-ში, საიდანაც მომიტინგეთა კოლონა ზ.გამსახურდიას ხელმძღვანელობით „დინამოს“ სტადიონისკენ გაემართა, იქ ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობდა, ზვიადმა მაყურებელს მოუწოდა გადაენაცვლებინათ მთავრობის სასახლესკენ. ორმოცი ათასი ადამიანი გამოემართა რუსთაველის გამზირისაკენ. გრანდიოზულ მსვლელობას გზად მრავალი ადამიანი შემოუერთდა. ამ დროს მერაბ კოსტავა მთავრობის სახლთან მიტინგს უძღვებოდა, მომიტინგეთა რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობდა, საბოლოო ჯამში, გამზირზე 100 000-მდე მომიტინგე შეიკრიბა. პარალელურად შიმშილობა გამოაცხადა რამოდენიმე ასეულმა, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის ორგანიზაციის წევრებმა, ამოქმედდა 17 საგაფიცვო კომიტეტი, შეიქმნა მოშიმშილე სტუდენტთა ჯგუფი უნივერსიტეტსა და სასწავლო თუ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში. აქციის მონაწილენი დადიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, აწყობდნენ მიტინგებს, მიუხედავად ფაბრიკა-

ქარხნების ადმინისტრაციისა და მილიციის დიდი წინააღმდეგობისა, გაფიცვები გრძელდებოდა, მათი კოლონები დღითი დღე ავსებდნენ რუსთაველის გამზირს, რასაც მოჰყვა ქალაქში მოძრაობის პარალიზება.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი და საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე ყოველ საათში აწვდიდნენ კრემლს ინფორმაციას საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ითხოვდნენ რუსეთის ჩარევას და ნებისმიერი მეთოდით მიტინგის აღკვეთას. 5 აპრილიდან თბილისში მდგომარეობა დაიძაბა, დაიწყო დამატებითი სპეცნაწილების შემოყვანა საქართველოში, მათ შორის იყო ძერჟინსკის დივიზია. საჰაერო-სადესანტო დივიზიის 345-ე საპარაშუტო ავღანურმა პოლკმა, რომელიც განჯაში იყო დისლოცირებული, მიიღო ბრძანება დაეკავებინა უმაღლესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორია. ეს პოლკი გამოირჩეოდა სამაგალითო სისასტიკით (მან ბოლომ დატოვა ავღანეთის ტერიტორია, მონაწილეობდა ბაქოს, სუმგაიტის მოვლენებში). ამ დროს საქართველოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს ხელმძღვანელობდა გენერალი როდიონოვი.

8 აპრილამდე მთავრობის სახლსა და მის შემოგარენს მილიცია იცავდა, ნაშუადამევს დაიწყეს მათი გაყვანა, მთავრობის სახლთან დატოვეს რამდენიმე ათეული მილიციელი, რომლებიც განაიარაღეს. აქციის პარალელურად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ყოველ საათში ბიუროს

სხდომები ტარდებოდა. დაიწყო ზეწოლა მიტინგის ხელმძღვანელებზე, მათგან მოითხოვდნენ მინიმალურ დროში (დაახლოებით 15 წუთში) დაეშალათ მიტინგი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებოდათ.

ზვიადმა და მერაბმა მათ აუხსნეს არსებული სიტუაცია, აქციის დაშლა მომიტინგეთაგან დადებით პასუხს და გარკვეულ დროს მოითხოვდა.

ოთხის ნახევარზე მომიტინგეებთან პატრიარქი მივიდა და მოუწოდა მათ სალოცავად გადასულიყვნენ ქაშუეთში, რაც თავისთავად ცხადია, ნიშნავდა მიტინგის დამთავრებას და შიმშილობის დასრულებას, (პატრიარქმა დანამდვილებით იცოდა რა უნდა მომხდარიყო მთავრობის სახლის წინ, რაც მისივე სიტყვებით დასტურდება „ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს... რომ საშიშროება რეალურია“). მომიტინგეთა და მოშიმშილეთა განწყობილებიდან გამომდინარე ძნელი არ იყო იმ დასკვნის გაკეთება, რომ ისინი არ დაიშლებოდნენ არც პატრიარქის მოწოდების შემდეგ, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად დაგეგმეს აქციის დარბევის ორგანიზატორებმა, რათა მთელი პასუხისმგებლობა მომხდარზე დაკისრებოდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, რომელთაც „შეაგულიანეს” და „უფსკრულში გადაჩეხეს” ამდენი ხალხი.

რამდენიმე წუთში გაჩნდა ჯავშანტრანსპორტიორების პირველი კოლონა, რომელთც უკან ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებით, ტოქსიკური ნივთიერებით შეიარაღებული ჯალათები მიჰყვებოდნენ, ისინი მოშიმშილეებსა და მომიტინგეებში გაიშალნენ. 9 აპრილის აქცია ბარბაროსულად იქნა დარბეული, გამოყენებული იყო ყველა საშუალება, რათა საქართველოსათვის სამომავლოდ ესწავლებინათ, რომ დამოუკიდებლობაზე ფიქრი ზედმეტი იყო. აქციის ორგანიზატორები დააპატიმრეს, მერაბ კოსტავა საბურთალოზე მეგობრის ბინაში აიყვანეს, ხოლო ზვიად გამსახურდია ალყაშემორტყმული „კოლხური კოშკიდან“. აღიძრა საქმე 206 III მუხლით 4-9 აპრილს დემონსტრაციებისა და მიტინგის ორგანიზებისათვის (საქმე აღძრული იყო 1990 წლის 26 თებერვლამდე).პოლიტპატიმართა გამოსახსნელად დაიწყო საერთო სახალხო მოძრაობა. ხელისუფლებამ ვეღარ გაბედა ციხეში მათი დიდხანს გაჩერება და მალევე გაათავისუფლა. ეს იყო ეროვნული მოძრაობის გამარჯვება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მათ წინააღმდეგ აღძრული საქმე მაშინვე არ დახურულა. 1990 წლის მარტში მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, მან ზვიად გამსახურდია მიიწვია ჩეხოსლოვაკიის საელჩოში მაღალი დონის შეხვედრაზე. ზვიადი ვერ ახერხებდა ჩასვლას, რადგან 9 აპრილთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმე გრძელდებოდა, ჰაველის პროტესტის შედეგად საქართველოს სსრ პროკურატურამ საქმე დახურულად გამოაცხადა. ვაცლავ ჰაველმა უდიდესი პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

„9 აპრილის მოვლენებმა საქართველოში დააჩქარა არა მარტო იმპერიის დაშლა, არამედ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებას. კრემლს გადაწყვეტილი ჰქონდა ძალის გამოყენება ანალოგიურ შემთხვევაში, მაგრამ დაინახა რა მსოფლიომ საზოგადოების მწვავე რეაქცია, ჩაფიქრებულ ღონისძებაზე ხელი აიღო.“

არსებობს ისეთი დღეები, როდესაც დროის მცირე მონაკვეთმა შესაძლოა დაიტიოს მთელი ეპოქა, სწორედ ასეთი დღეა 9 აპრილი. ამ დღეს ქართველმა ხალხმა შიში დათრგუნა და მონურ ყოფას ზურგი აქცია, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქმედება იყო დიდგორის, შამქორის, მარაბდის ველებზე გამოჩენილი გმირობის ფარდი (ასევე სიმბოლური იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 9 აპრილს).

ეს სიმბოლური დღე შესანიშნავად შეაფასა თავად ზვიდ გამსახურდიამ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას: „დღევანდელი დღე 9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა მოიტანა, უფალმა მოგვივლინა ეს ცრემლნარევი დღე სიხარულისა,ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღვთო სიყვარულისაკენ. საქართველოს გზა ეკლიანი გზაა ქრისტესი, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა, ამ დღეს დიდი დაფიქრება გვმართებს, დიდი ურთიერთ სიყვარული, ურთიერთ მიტევება. დღეიდან საქართველო მიმართავს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს, რათა დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოს თავისუფალ ერთა შორის. დაე, იყოს ეს დღე დასაწყისი ქართველი ერის კონსოლიდაციისა, ერთ მუშტადშეკვრისა შინაური და გარეული მტრის წინააღმდეგ.შემთხვევითი როდია, რომ დღეს გამოცხადდა დამოუკიდებლიბა, 9 აპრილის მოწამეთა სისხლმა სამეფო დიდება შეჰმოსა ქართველ ერს, განადიდა და განაბრწყინა იგი მსოფლიოს ერთა შორის, 9 აპრილის შემდეგ ერმა იწამა საკუთარი ძალა, აღიარა ეროვნული იდეოლოგია, ქართველმა ხალხმა იწამა დამოუკიდებლობის იდეა და დაირაზმა ამ იდეის გარშემო.” (ზ. გამსახურდია)

სოფიო ღლონტი

„ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული მრწამსი”

ჯანსულ ჩარკვიანი
1989 წელი



ყველაფერი შორიდან დაიწყო...

წლების მანძილზე საქართველო უპატრონო ეკლესიას ჰგავდა, ჰყიდდნენ მიწებს ქართველები და იტაცებდნენ უცხონი, შემდეგ ის უცხონი მასპინძლებად გაგვიხდნენ და ჩვენ სტუმრებად ვიქეცით. ყველამ რაღაც მოგვთხოვა, ყველამ რაღაც წაგვართვა.

შემდეგ გამოცხადდა საყოველთაო და უსამართლო ომი ერის წინააღმდეგ, „სტალინის მშობელი ერის“ წინააღმდეგ, მიგვცეს სისხლის სამართალში, არც აქ გამოგვიჩნდა პატრონი. დაგვცინოდა დიდი და პატარა, ისეთი აზრი მრჩებოდა, რომ ეს ერთი ლუკმა ქვეყანა ვიღაცას გულზე დაეცა და ვეღარ მოინელა. არ გვაძლევდნენ პასუხის გაცემის უფლებას. გადი-გამოდიოდნენ მწერლები და უნიჭო ჟურნალისტები, უბრალონი და ბრალიანნი, ნაციონალიზმს სწამებდნენ ერს, რომლის მიწაზეც საუკუნეების მანძილზე, მე ვიტყოდი, ქართველებზე ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ მშობლიურ ძუძუს მოწყვეტილი ერის შვილები თუ სხვადასხვა ტომები.

ინგრეოდა ძეგლები, გვართმევდნენ ენას, ამბიციებით შეპყრობილი ხელმძღვანელები „ვაიმშენებლებს“ უკვეთავდნენ არარეალურ, გრანდიოზულ მშენებლობებს, რაც სასიკვდილოდ ემუქრებოდა უძველესი ისტორიის მქონე მიწა-წყალს. იმძლავრეს მოძალადეებმა, ხალხმა ვერ იგრძნო დროული შედეგი ჩვენი გონიერებისა. ამდენად, მოხდა გათიშვა ხალხსა და ხელისუფლებას შორის, ამას ისიც დაემატა, რომ გულწრფელად აღიარეს რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე, რომ პრობლემები არსებობდა ერთაშორის ურთიერთობებში. ხალხი შეშალა დაგადარია, უფრო სწორედ დაამონა „უფროსმ“ და „უმცროსმ“ ძმის ცნებამ. ქართველი კაცის ერთგულება და პატივისცემა სხვათა ერისადმის და სარწმუნოებისადმი დასაბამიდან ცნობილია, მით უმეტეს – ქრისტიანული რუსეთისადმი, მაგრამ, რა გინდა, აღმოჩნდნენ შოვინისტები, რომლებმაც ნგრევის პოლიტიკა ამჯობინეს კეთილშობილებას... ასე, ნელ-ნელა აივსო ქართველთა (და არა მარტო ქართველთა) მოთმინების ფიალა, რომლის ბოლო წვეთი ოყო აფხაზთა შეურაცხმყოფელი წერილი, რომელიც აგერ უკვე რვა თვეა მოსკოვმა იცის და პასუხის გამცემი კაცი არ აღმოჩნდა. დიახ, აივსო მოთმინების ფიალა და გადმოდიოდა...

მაინც რა მოხდა ცხრაში?

ცოდვილი მოდგმის ველურებს თუ შეუძლიათ საკუთარ თვალებს შეაფურთხონ ისე და იმრიგად, როგორც აპრილის იმ საბედისწერო დღეს „საპიორთა“ ხელნიჩბიანებმა იკადრეს.

ვერც ღმერთი და ვერც კაცი ვერ დამაჯერებს, რომ იმ ურწმუნოებს ვინმე ჰყავთ სახლში, ან დედა ან მამა, ან დედმამიშვილი, ან ნათესავი, განა შეიძლება უთვისტომო კაცის ასე ბოროტად გაზრდა? მოხდა ენით აუწერელი საშინელება, გამოუსწორებელი ტრაგედია...

მოვიდნენ, დაგვტუქსეს სამშობლოს „სიძულვილის“ გამო, საქართველოს „სიძულვილის“ გამო, (ისევ ცინიზმი) ნახევრად მძინარე მოშიმშილეებს ალესილი ნიჩბებით დაერივნენ. ჰო, ნუ შეგვეშინდება ამ მკაცრი სიტყვების თუ შეფასებისა, სიკვდილამდე სდევდნენ სრულიად უდანაშაულოებს, თავისუფლებისათვის და „პერესტროიკისათვის“ მებრძოლ ახალგაზრდობას, მოზარდებს, დიდებს, უფრორე ქალებს (შემდგომ ცნობას გამოაქვეყნებენ – ისევ ცინიკურს, რომ ქალებს განსაკუთრებული სიფრთხილით ექცეოდნენო), მათ შორის – ფეხმძიმესაც. თითქოს წითელი ერის ნაჯერს აფრიალებდნენ ცხვირწინ, ვერაფრით აკავებდნენ, კეპავდნენ და თან დასძახოდნენ: „ესეც თქვენ სტალინის გამორ“ (განა ვინმე, ან რომელიმე მათგანი იყო ინფორმირებული, რა დაემართა თავის დროზე და შემდგომ ჩვენს პატარა საქართველოს სტალინის გამო? – ესეც ხომ ცინიზმია?!). მაშ, არ იყვნენ დარიგებულნი? მაშ ასე ჰაიჰარად ისროდნენ ერთნაირ სიტყვებს? არა, ბატონო, ყველაფერი კარგად და ზუსტად იცოდნენ და თუ არ იცოდნენ, კიდევ უარესი მათთვის, მაშინ საიდან ამხელა სიძულვილი?

(...) ჯარისკაცები ახალგაზრდებს ქუჩაში აჩერებდნენ და შავ ბაბთებს აცლიდნენ გამაღიზიანებლად...

ერთმა ახალგაზრდამ, მარჯანიშვილზე ჩემს თვალწინ ოფიცერს უთხრა: „სიცილის უფლებას არ გვაძლევთ, ტირილის ნება მაინც მოგვეცითო“. ესაა საქმე? სადა ვართ, რომელ ქვეყანაში? ვინ ურევს ხელს ისედაც გამძაფრებულ ურთიერთობებში?

(...) დღეს ტელევიზიით აცხადებენ, ჯარს იარაღი არ ჰქონდა და ცუდს რას იზამდაო, ხოლო ჯარის ნაწილები, კვლავაც დგანან ქუჩებში აღესილი „საპიორული“ ნიჩბებით. შეუთანხმებლობამ, აგრეთვე, მეტისმეტმა გულახდილმა სიმშვიდემ თუ გაშიშვლებულმა გულახდილობამ დაგვიკარგა მოყვარე და მტერში აგვრია...

(...) მუხლს ვიყრი უდანაშაულოდ დაღუპულთა წინაშე, რომელთა სულის მშვენიერება აკეთილშობილებს საქართველოს ხვალინდელ დღეს. ჯვარცმული ერი ვართ, „ჯვარს აცვამენ მას და იყოფენ მის სამოსელს, წილის ყრით, - ვინ რა აიღოს!“

დღეს ასეა ჩვენი საქმე, ჭკუით ვერ უნდა გვაჯობონ, იქნებ, თავად უნდა მოვუხმოთ ჭკუას?

და რაც მთავარია, ძალიან მთავარი: ერთმანეთთან „იყავით გულმოწყალენი ისევე, როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე“...

„თბილისი“ 11.IV # 84

ჭეშმარიტად, მერაბ!

ეს მოხდა 1978 წელს თბილისის სუკ-ის ციხეში, სადაც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოუთავსებიათ საქმე ნომერ 131-თან დაკავშირებით. აქაური საკანი უნდა ყოფილიყო მატარებლის კუპეზე ოდნავ მოზრდილი. დღის სინათლე ატანდა გისოსებიანი ფანჯრიდან, რომელიც ჩვეულებრივზე გაცილებით მაღლა ყოფილა დატანებული კედელში. პატიმარი გამუდმებული ყუღადღების ქვეშ იმყოფებოდა. ამ მიზნით. რკინის კარს ჰქონდა საგანგებო საჭვრეტი, საიდანაც ზედამხედველის ფხიზელი თვალის თეთრონი და გუგა მოჩანდა თურმე.

დამდგარა ლიტანიობის დამე. მერაბი სუკ-ის ციხეში იმყოფებოდა, ზვიად გამსახურდია იმხანებში ლეფორტოვის ციხეში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, რამდენადაც მახსოვს.

ადვილი არაა იმ სიმძიმილის ცხადად წარმოდგენა, ადამიანს რომ ეუფლება, ამგვარად შეჭირვებულს: მთელს საქრისტიანოში მორწმუნენი ზეიმობენ, ზარები რეკავენ, წირვაზე მყოფნი ერთმანეთს ეხვევიან და ულოცავენ მარადიული ცხოვრების დღესასწაულს, აქ კი ჯერ კიდევ სიკვდილის აჩრდილი ტრიალებს. მერაბს შინაგანად უგრძვნია ამ ჟამის დადგომა, ზეწამოჭრილა, ხელებით ჩაფრენია გისოსებს, აწეულა ისე, რომ შიდა ეზო ნაწილობრივ დაულანდავს და მთელი ხმით დაუჭექავს:

„ქრისტე აღსდგა!“

არ არის ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ხმა ციხის პერსონალზე. დაახლოებით იგივე სურათი იქნება თუ, ერთ ჭიქა ადუღებულ ზეთს კრაზანების ბუდეში ჩაღვრით. ამტყდარა განგაში.

„ქრისტე აღსდგა!“- გაიმეორა კიდევ. ზედამხედველები მერაბის საკანში შეჭრილან, ჩამოკიდებიან ფეხებზე, მთელი ძალით ეზიდებოდნენ დაბლა. მერაბი ფიზიკურად ისედაც ძლიერი იყო, „მაგრამ, ამ დროს საოცარი ძალის მოზღვავება ვიგრძენიო“, იგონებდა. „ვიძახებ იქამდე, ვიდრე არ მიპასუხებს ვინმე“, ფიქრობდა თურმე. არადა, არსაიდან ისმოდა „ჭეშმარიტად!“ სიკვდილის, რღვევისა და გაქვავების საუფლოში. „ქრისტე აღსდგა!“- ისევ სჭექდა მერაბის ხმა, რაც ზედამხედველებს კიდევ უფრო აცოფებდა, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ. და მერვედ თუ მეცხრედ დაძახების შემდეგ სადღაც შორიდან მართლაც მოისმა:

„ჭეშმარიტად!“

ალბად პატიმარი თუ იყო ვინმა.

„მაშინ კი შევუშვი ხელები გისოსებს...“ იგონებდა მერაბი.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია
„წერილები უცხოეთიდან“

გადავარჩინოთ ქართული ენა
ანუ
აჯენდაზე შრგენტულად დასაყენებელი ტოპიკი

ქართული ენა

საქართველოს მთებში ეაეაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიძღერა დღეგრძელ უძველესმა ცოცმა
ძლევი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლცოცმა,
მყინვარების ღვთიურ ჭრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში იოლის ჯოგის ნავარდობა,
ეაგანცული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ცოცმა ღრეგრძელ მოიძღერა,
ძნიფე ყარის ყანა ქარში როგორ ღელავს,
ნარკინეთში ეროვლებზე როგორ სცემენ ყრილ
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოეზაყობს,
ან მთვარიან ღამით ცისე-ყოფის ჩრდილში
რა ცოცილია ფარულ სიყვარულის ფიში,
როცა ლამისმთვლებს ლხინი ეაყმართავთ
და სიზმრები როცა თვლემენ სანთყმალთან
საქართველოს მთებში ეაეაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

ლადო ასათიანი
1943

14 აპრილს საქართველო დედაენის დღეს აღნიშნავს. ენისა, რომელიც უხილავი ძაფებით გვაკავშირებს საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს ჩვენს სამშობლოსთან. ენისა, „ხმათა ხავერდების და ღმერთების“ ენად რომ შერაცხა ლადო ასათიანმა.

ყოველთვის მჯეროდა რომ ძნელია ენის მოსპობა, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რომელმაც სასანიდურ ირანს გაუძლო, გამოიარა დიდი თურქობა და მონღოლებს გადაურჩა. მეგონა, რომ ამ სიძველის ენის ამოთხრა შეუძლებელი იქნებოდა. დიახ, ასე მჯეროდა სულ რაღაც ორი თვის წინაც, როდესაც გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში ქართულ წირვაზე ვიდექი და თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი, რომ საშუალება მქონდა, საქართველოდან შორს მყოფი დავსწრებოდი ქართულ ენაზე აღვლენილ წირვა-ლოცვას. წირვის დასარულს დარბაზში გადავინაცვლეთ, სადაც ოცამდე პატარა ქართველი თამაშობდა. იცით რამ გამაოცა? არა იმან, რომ ბავშვები, ისეთებიც კი, რომელთა დედაცა და მამაც ქართველია, ერთმანეთში გერმანულად საუბრობდნენ; არა იმან, რომ მათთვის არავის უთქვამს იქნებ ეცადოთ აქ, ქართველთა თავშეყრის წმინდა ადგილას მაინც ისაუბროთ ქართულადო, არა იმან, რომ ეს გარემოება არავის ეუცხოვა და თვალში მოხვდა, არამედ იმან, რომ ქართველი დედა დამახინჯებული გერმანულით ცდილობდა შვილისათვის რაღაცის ახსნას.

მალე დარბაზი ხალხით გაივსო, ამდენი ქართველის ერთად შეკრებამ უცბად გამოაცოცხლა და აახმაურა იქაურობა. ზოგი თავის „ურლაუბზე“ ჰყვებოდა, ზოგი განსაკუთრებით გემრიელად „მოქოხილ“ სადილზე, ზოგი საშინლად არეულ და „დასაპუცავებელ“ სახლზე, ზოგი მთელი „დაშპარული“ ფულის საბანკო ანგარიშზე „დაშპერვაზე“, ზოგი „საგრილაო“ ამინდზე, ზოგი გუშინდელ „გაშტრაფვაზე“, ზოგი რჩევებს იძლეოდა, ზოგსაც „ანუნგი“ არ ჰქონდა...

როგორ მალე გვავიწყდება ქართული!

ამ ფიქრებით დამძიმებული სახლში მივედი და ინტერნეტით საქართველოს ტელევიზიით ახალი ამბებისყურებადავიწყე.გადაცემისკეკლუცი წამყვანი საქართველოთი აღფრთოვანებულ მსოფლიოს პირველ „დეველოპერზე“, დონალდ ტრამპზე და მის ინვესტიციებზე საუბრობდა. შემდეგ „გლამურულ“ საღამოს შეეხო, რომელსაც თურმე წითელი ხალიჩა და მოდური კოლექცია არ აკლდა. იქვე ერთ-ერთ

ცნობილ დიზაინერს შეკრებილი საზოგადოებისათვის, კრიტიკოსებისათვის, „ბაიერებისათვის“ და უბრალოდ მოდის მოყვარულთათვის თავისი კოლექცია გაუცვნია...

ნეტა საღამო უფრო მშვენიერი და ლამაზი იქნება თუ მას „გლამურულს“ ვუწოდებთ და უფრო მიიზიდავს ხალხს? ანდა მყიდველს „ბაიერს“ თუ დავარქმევთ უფრო მეტს შეიძენს იგი? ნეტა პროექტი უფრო წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას კი არ წარვუდგენთ მსმენელს, არამედ მის „პრეზენტირებას“ გავაკეთებთ? ახალ ამბებსაც, ალბათ, უფრო სერიოზულად მიიღებს მკითხველი თუ მაყურებელი, თუკი მას „ნიუსები“ დაერქმევა, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ „ტრენინგგამოვლილი“ ადამიანი, ალბათ, უფრო კვალიფიცირებულია, ვიდრე რაიმე სწავლებასა თუ მოსამზადებელ კურსზე დასწრებული.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ თუ ნებისმიერ საინფორმაციო გადაცემას ხმას იმდენად ჩაუწევ, რომ სიტყვების გარჩევა ვეღარ შესძლო, ვეღარც იმას გაარჩევ ენის ჟღერადობითა და წამყვანის ინტონაციით, ქართულად საუბრობს იგი თუ ამერიკული ინგლისურით.

როგორ მალე გვავიწყდება ქართული!

როგორ მალე გვავიწყდება ისტორია!

ისტორიისათვის ათწლეულები დიდი დრო არაა. ჩვენ კი, როგორც ჩანს, კარგად გადაგვაგიწყდა 1978 წლის 14 აპრილი, ენის დაკარგვის საფრთხემ მაშინდელ ქართულ საზოგადოებას გმირობისაკენ რომ უბიძგა. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა ეპოქისათვის უცხო, გრანდიოზული საპროტესტო გამოსვლით რამდენიმე ათასი ადამიანი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ნებას და არ დაუშვა საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შეტანილი იმ ცვლილებების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა.

ენის ღირსების დასაცავად ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შოთა რუსთაველის გამზირისაკენ დემონსტრანტთა მრავალათასიანი ჯგუფი დაიძრა. დემონსტრანტთა შორის ყველა ფენის წამომადგენელი იყო. სტუდენტებს ხელში თეთრი ტილოს თვითნაკეთი პლაკატები ეჭირათ, რომელზეც სისხლისფერი მელნით იყო ნაწერი: „ქართული ენა – სახელმწიფო ენა!“, „ილიასა და აკაკის ენა – სახლმწიფო ენა!“ და სხვა. აქციის მონაწილენი იხსენებენ, რომ მათ გამოკვეთილი ორგანიზატორი არ ჰყოლიათ, იყო დიდი მუხტი და ძლიერი სულისკვეთება ქართული ენის დაცვისა, რამაც თავისთავად მოახდინა საპროტესტო აქციის ორგანიზება.

უკვე გაიზარდა თაობა, რომელსაც საბჭოთა კავშირში არ უცხოვრია. ამ თაობის წარმომადგენელთათვის, რომლებიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მრავალი ისტორიული გარდატეხისა და ამის თანმდევი არაერთი დემონსტრაციის თვითმხილველნი გახდნენ, ალბათ, გაუგებარია თუ რატომ იყო ეს აქცია გმირობის ტოლფასი. ამასთანავე წარმოუდგენელია მათთვის ის საფრთხე, რაც მსგავს პროტესტს საბჭოთა რეჟიმში მოჰყვებოდა. ბევრმა მათგანმა არც იცის რა მოხდა 34 წლის წინ, არ იცის, რომ 14 აპრილი – ქართული ენის დღე – ერთადერთი დღესასწაულია, რომელიც საბჭოთა იმპერიის პერიოდში ხელისუფლებამ კი არა, ხალხმა დააწესა. სწორედ ქართველმა ერმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა მშობლიური ენა 1978 წლის 14 აპრილს.

ჩვენ ვამბობთ, რომ ერის თვითმყოფადობა სამი ელემენტისგან შედგება. ეს არის ენა, მამული და სარწმუნოება. მამულსა და ტერიტორიებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა გვაქვს. სარწმუნოება უფლის მადლითა და ჩვენი პატრიარქის ძალისხმევით, თავის მისიას ახორციელებს. რაც შეეხება ენას, აქ მის დასაცავად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. თუ საბჭოთა პერიოდში ენის სწავლება იზღუდებოდა, რათა რუსული ენა ყოფილიყო პრივილეგირებულ მდგომარეობაში, დღეს ქართულ უნივერსიტეტში სამეცნიერო გრანტი რომ მოიპოვოს ქართველმა მეცნიერმა, ინგლისურადაც უნდა შეადგინოს საბუთები.

ნუთუ ჩვენვე ვამკვიდრებთ იმას, რის წინააღმდეგაც აქამდე ვიბრძოდით?



ნუთუ თვითონვე ვაბინძურებთ იმ ენას, დამპყრობლების შემოსევებს რომ გადაურჩა?

ნუთუ ასე ძნელია საზღვარგარეთ დაბადებულ პირველ თაობას მაინც შევუნარჩუნოთ ქართული?

დრო კიდევ ბევრ ცვლილებას მოიტანს და ცოტა ხნის წინათ რუსული ბარბარიზმებით გაბერილ ენას, ალბათ, კიდევ არა ერთ საფრთხეს შეუქმნის. „ცოცხალი ორგანიზმი" ახალი ეპოქებისა და ტექნოლოგიების მიერ მოტანილ ბევრ სიახლეს შეითვისებს (შესაბამისი ტერმინისა და კონკრეტული ლექსიკური ერთეულის არქონის გამო) და ამავე დროს შეავიწროვებს ბევრი არსებული სიტყვის სემანტიკურ ველს. ეს ენის განვითარების კანონია და მას ვერაფერი შეაჩერებს. მთავარია თვითოეულ ჩვენთაგანს ენის სიწმინდის მიმართ მეტი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა გაგვაჩნდეს, აუცილებელ, გარდაუვალ სიახლესა და არასაჭირო ბარბარიზმს შორის განსხვავება დავინახოთ.

ენა ბევრ ინფორმაციას იძლევა ამა თუ იმ ერის კულტურის, ცნობიერების, მენტალობის, ბევრი საკითხისადმი მიდგომის შესახებ. ენაში ყველაფერია, თუ მასში ყურადღებით ჩავიხედავთ. ჰოდა მოდით, კარგად ჩავიხედოთ მასში და ვიდრე რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ თუ სხვა სიტყვას ვიტყოდეთ, იქნებ ისევ შესატყვისი ქართული აღმოვაჩინოთ რამე.

მოდით, „ურგენტულის" ნაცვლად სასწრაფო ან საჩქარო ვიხმაროთ, სრულ განაკვეთზე ვიმუშაოთ „ფულთაიმის" ნაცვლად, „რაპორტების" ნაცვლად მოხსენებები ვწეროთ, ჩავატაროთ კვლევა „რისერჩის" მაგივრად და „ივენთების" ნაცვლად ღონისძიებები მოვაწყოთ. იქნებ გადაწყვეტილებები ისევ საბჭომ მიიღოს და არა „ბორდმა", თუნდაც მმართველობის და არა „მენეჯმენტის" დახმარებით. თანამშრომლებმა (და არა „სტაფმა") იარონ შეხვედრებზე და არა „მითინგებზე". ისევ საქმეები აღვძრათ თუ დაგვჭირდება და არა „ქეისები", თანამშრომლები მათი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით შევარჩიოთ და „ბეგრაუნდს" ნუ მოვთხოვთ შესაბამისს. დაკვირვება ისევ დამკვირვებელმა და არა „მონიტორმა" აწარმოოს. „ჰოლი" ისევ შესასვლელი ან თუნდაც დარბაზი იყოს, სადაც წვეულებას და არა „ფართის" მოვაწყობთ, მაგასაც რა თქმა უნდა შაბათ-კვირას „ვიქენდის" მაგივრად. ჩამოსული სტუმრები საყიდლებზე წავიყვანოთ და არა „შოპინგზე" (შეძლებისდაგვარად დიდი ფასდაკლებებისა და არა „სეილის" პერიოდში) და ქალაქით აღფრთოვანებულები, დაღლილ-დაქანცულები პატარა, ოჯახური ტიპის სასტუმროში მოვათავსოთ „გესტჰაუსის" ნაცვლად.

ნინო ხაბელაშვილი

საქართველო იყო მისი სულის სინათლე

„ცხოვრებელი ადამიანის ცხოვრება, ამ მიწაზე ბევრი ვლინდებიანი, ყოველი ცალკეულ ფოთლამდე, და ერთ მხოლოდ ადამიანის, ცხოვრებისთვისაც, რაც ფიქრი მხიშვნელოვანია. ო ღმერთო, - ვწერ მე, - შენ ლაბორატორიე ლაბორატორიაში ეს ფოთლე და ყველოფერი, რასაც ვხედავთ, რაც ვიცით, და ისიც, რის გაგებაც ერთ გვიწერია."

ბელა ახმადულინა

2011 წლის 10 აპრილს გამოჩენილი რუსი პოეტი ბელა ახმადულინა 74 წლისა გახდებოდა. იგი გარდაიცვალა 2010 წლის 29 ნოემბერს. მისი გარდაცვალებიდან მე-9 დღეს, ამ ლეგენდარული პოეტის პატივსაცემად რუსმა და ქართველმა კოლეგებმა მოსკოვ-თბილისის ტელეხიდი მოაწყვეს. იმ სამგლოვიარო დღეებში ახმადულინას მეგობრები და ახლობლები განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ

მის სიყვარულს საქართველოსა და ქართველი პოეტებისადმი. ბელა ახმადულინამ თარგმნა არაერთი ქართველი პოეტის ლექსი და საქართველოსაც შესანიშნავი ლექსები მიუძღვნა.

ტელეხიდის მონაწილეებმა ქართული და რუსული მხრიდან აღნიშნეს ახმადულინას უდიდესი წვლილი ორი კულტურის განვითარებასა და ურთიერთობაში. ირინა ბარმეტოვამ გამოთქვა ბელა ახმადულინას სახელობის ფონდის შექმნის იდეა, რომელიც დახმარებას გაუწევს ქართველი პოეტების რუსულ ენაზე და რუსი პოეტების ქართულ ენაზე თარგმნას.

ახმადულინას მეუღლე ბორის მესერერი ამბობდა „საქართველო ბელას არსების განუყოფილი ნაწილი იყო და მისგან ჩემი და ჩემი მეგობრების განუყოფილი ნაწილიც გახდა. წლის განმავლობაში ჩვენ 3-4 ჯერ მივფრინავდით იქ, ხან ოფიციალური საბაბით ხან უბრალოდ მეგობრებთან". სწორედ ამ სიყვარულის გამო იყო რომ მისი ქალიშვილი ლიზა საქართველოში, სვეტიცხოველში მოინათლა.

იური როსტი, რომელმაც ახმადულინას მრავალი ფოტორეპორტაჟი შექმნა, იხსენებს, რომ 80-ანი წლების ბოლოს საქართველოში ყველა დიდ პოეტს შავი ზღვის სანაპიროზე მიწის ნაკვეთს ჩუქნიდნენ, ბელა ახმადულინამ ამაზე უარი თქვა: „რად მინდა მე საქართველოს პატარა ნაწილი, როდესაც ის მთლიანად ჩემს გულშიაო."

თავის მოგონებებში ახმადულინა ამბობს, რომ, ალბათ, ყველა ადამიანს აქვს დედამიწაზე იდუმალი საყვარელი ადგილი, სადაც ის ხშირად არ მიდის, მაგრამ ყოველთვის ახსოვს და ხშირდ ხედავს მას სიზმარში. ადამიანი ცხოვრობს სახლში, სამშობლოში, სადაც უნდა ცხოვრობდეს, აკეთებს თავის საქმეს, იღლება და ღამე, ვიდრე დაიძინებდეს, გაიღიმებს სიბნელეში და ფიქრობს: „ახლა ეს შეუძლებელია, მაგრამ როდესმე მე ისევ წავალ იქ..." ასე ფიქრობდა იგი საქართველოზე, და ღამღამობით ქართული ლაპარაკი ესიზმრებოდა თურმე. ბელა ახმადულინა ფიქრობდა, რომ არავინ არ ცხოვრობს ისეთ სიახლოვეში სიმღერასთან, როგორც ქართველები. აქ არ არის მანძილი მხიარულებასა და სიმღერის, სევდასა და სიმღერის, სიყვარულისა და სიმღერის შორის. თუ ქართველი არ მღერის ახლა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აპირებს ამღერდეს ერთ წუთში.

ახმადულინა იხსენებს შემთხვევას, როდესაც კახეთში გზას ასცდნენ და ერთ მოხუც გლეხს ჰკითხეს თუ საით უნდა წასულიყვნენ. მოხუცმა თავის სახლზე მიანიშნა და უთხრა: „აქეთ". ისინი შევიდნენ ეზოში. რთველი ახალი დაწყებული იყო, მაგრამ ქვევრები უკვე თითქმის სავსე იყო. დიასახლისმა და მისმა ქალიშვილებმა სწრაფად გაშალეს სუფრა. სულ მალე შეწყობილი, მრავალხმიანი კახური სიმღერაც გაისმა. აღფრთოვანებულმა ახმადულინამ თქვა, რომ სწორედ მაშინ მოეჩვენა მას, რომ იგი ჩაწვდა ენის ნანატრ საიდუმლოებას და მიხვდა იმ მშვენიერი სიმღერის აზრს - მასში იყო სიკეთე, ბევრი სიყვარული, ცოტაოდენი სევდა, მადლიერება მიწის მიმართ, მოგონება, იმედი და ყველაფერი ის, რაც სჭირდებოდა ადამიანს ასეთ ბედნიერ და მთვარიან ღამეს.

გამოთქვა რა თავისი წუხილი ახმადულინას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალოკოს-პატრიარქმა ილია II თქვა, რომ ბელას სული სამარადისო სასუფეველში იმყოფება.

> *„მერწმუნეთ, ბელოს მრავალი ქართველზე უფრო ლიდი ქართველია. იგი ქართველობაში ქართველებზეც იჯობრებოდა".*
>
> *ჯანსუღ ჩარკვიანი*

თავისი შემოქმედებით „მან მოუტანა სიხარული მილიონობით ადამიანს"„...ის მიეკუთვნება იმ რჩეულთა რიცხვს, რომელთა გული მთელ მსოფლიოს იტევს, მისი სიყვარული საქართველოსადმი ღრმა და უცვლელი იყო, რაც საქართველოსადმი მიძღვნილ მის მრავალრიცხოვან ლექსებში გამომჟღავნდა. ახმადულინას ქართული ლიტერატურის კლასიკოსების - ტიციან ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, ანა კალანდაძის და მრავალი სხვა პოეტის თარგმანები არა მარტო აფართოებენ ლიტერატურის საზღვრებს, არამედ ხალხთა შორის მეგობრობას უწყობენ ხელს."

სვეტიცხოველში მონათლული კლასიკოსისთვის ქართული ენისადმი გამორჩეული დამოკიდებულება არაერთხელ დადასტურებულა მის თარგმანებში. „ბელამ ქართული პოეზიის ტიტანები თარგმნა. ძნელია წარმოიდგინო, როგორ ელოლიავებოდა თითოეულ სიტყვას, რომ მათთვის ქართული სული შეენარჩუნებინა", - იხსენებს პოეტი რეზო ამაშუკელი. თავად პოეტი კი აღნიშნავდა, რომ არც ერთ სხვა ენასთან არ ჰქონია ისეთი ახლო ურთიერთობა როგორიც ქართულთან „მითარგმნია გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე და სხვები".

პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი იხსენებს: „მახსოვს მოსკოვში მწერალთა კავშირის ყრილობაზე ქართველი პოეტები საღამოობით ერთ-ერთ რესტორანში მიღებებს ვაწყობდით. სუფრის

მასპინძლობა რიგ-რიგობით გადავინაწილეთ. ერთ დღეს ჩემი რიგი დადგა. სუფრას ვუსხედვართ ძმები ჭილაძები, რეზო ამაშუკელი, ნოდარ დუმბაძე, ევგენი ევტუშენკო, რიმა კაზაკოვა, ბელა ახმადულინა და სხვები. დაახლოებით ოცამდე შევიკრიბეთ. რესტორანში ჩვენს გარდა ქართველი სხვაც ბევრია. ქართველები ჩვენ გვცნობდნენ, რუსები იმათ. ქეიფი გაჩაღდა. თადარიგი დავიჭირე და, როგორც იმ დღის მასპინძელმა ანგარიშის გასწორება გადავწყვიტე. ოფიციანტს ფული გავუწოდე. მან ფული არ გამომართვა და მითხრა: — თქვენი გადახდილიაო. დარბაზის თვალიერება დავიწყე. მაინტერესებს მადლობა მაინც ვის უნდა ვუთხრა. ოფიციანტი მომიბრუნდა და ბელაზე მიმანიშნა. გავოგნდი. შემდეგ ბელას ვკითხე ასე რატომ გააკეთა. მან კი მიპასუხა: „მეც ხომ შეიძლება რუს პოეტებს ვუმასპინძლო, თუნდაც მაშინ, როდესაც გვერდს ქართველები მიმშვენებენო".

ახმადულინა თავადვე ამბობდა, რომ საქართველო მისთვის არასოდეს ყოფილა „моя Грузия", იგი მისთვის მუდამ „чемо Грузия" იყო.

„სამწუხაროა, რომ ბოლო წლების გამავლობაში მან ვერ შესძლო მის საყვარელ თბილისში ჩამოსვლა. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა უყვარდეს მას საქართველო და თბილისი, რომ ისიც კი თქვა, როცა მოკვდები საქართველოში დამასაფლავეთო", - ამბობს რეზო ამაშუკელი.

მოამზადა
მერი ცისკარიძემ

იგი 3 დეკემბერს ვაგანკოვის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ბელა ახმადულინა ე.წ. „სამოციანელთა" თაობას მიეკუთვნებოდა. მან ლექსების პირველი კრებული 1962 წელს გამოაქვეყნა, იმ მწერლებთან ერთად, რომლებსაც ოფიციალური ორგანოები არ სწყალობდნენ, მონაწილეობდა ალმანახ „მეტროპოლის" დაარსებაში, რომელიც 1979 წელს 12 ეგზემპლარად გამოიცა.

1993 წელს ბელა ახმადულინამ ხელი მოაწერა ე.წ. „42"-ის წერილს, რომელშიც ცნობილი ლიტერატორები კომუნისტური და ნაციონალისტური პარტიების აკრძალვას მოითხოვდნენ.

ომამდე სულ ცოტა ხნით ადრე მოსკოვს გახლდით. თითქმის ქალაქის ბოლოს კულტურის უზარმაზარი ცენტრია, თავისი უზარმაზარი დარბაზით, რომელიც ცნობილი რუსი კინორეჟისორის, ელდარ რიაზანოვის სახელს ატარებს. თავად რიაზანოვი უძღვებოდა იმ დღეს უმშვენიერესი ქალბატონის, დიდი პოეტის - ბელა ახმადულინას - შემოქმედებით საღამოს.

მე და იურა როსტი პირველ რიგში ვისხედით, საპატიო ადგილებზე. თუმცა ბელა ვერ გვხედავდა, თვალისჩინი უკვე წართმეული ჰქონდა... კითხულობდა თავისი განუმეორებელი ხმით თავისივე საოცარ ლექსებს, ხანდახან თუ ჩაეჩხირებოდა ხელოვნების რომელიმე გამოჩენილი მოღვაწე მისასალმებელი სიტყვით.

იმ საღამოს ულამაზესი ლექსების ამწყობმა თუ შემთხზველმა ბელამ, რომელიც პოეტი-ქალის სიმბოლოდაც კი შეიძლება აღიარო, კიდევ ერთხელ გამაოცა და აღმაფრთოვანა... სამჯერ ახსენა ჩემი სამშობლო. არც იტალია უხსენებია, არც ინგლისი, არც საფრანგეთი და არც რომელიმე ქვეყანა.

საქართველო ახსენა...

სამჯერ.

ჩემთვის გაუგებარი რამეც ბრძანა, საქართველო ჩემი მეორე სამშობლოაო. მაშინ ვერ ჩავწვდი ამ სიტყვების არსს, დღესაც ასე მიმაჩნია - დედა და სამშობლო ერთი ჰყავს ადამიანს, მაგრამ მისი გარდაცვალებით გულჩაწყვეტილი სხვა რამემ ამაფორიაქა - უცხო ქვეყნის მიმართ გაცხადებულმა გულწრფელმა, უანგარო სიყვარულმა, მისი ხალხისა და კულტურის მიმართ უდიდესმა მოკრძალებამ, მისი შვილობის გაცნობიერებულმა თუ გაუცნობიერებელმა სურვილმა და კიდევ იმან, რომ ეს ყველაფერი გაქრა იმ ურთიერთობებსა და ხალხთან ერთად და არასდროს განმეორდება, ყველა ხიდი დამწვარია...

რამდენი დამპყრობელი ჰყოლია ჩვენს ქვეყანას: თურქი, ოსმალო, სპარსი, სელჯუკი... ყველამ რაღაც კვალი დააჩნია ჩვენს ენას, ყოფას, ცნობიერებას, იქნებ ცოტაც ჩვენგან წაი ღო, მაგრამ არცერთ მათ პოეტს ისე არ უმღერია საქართველოსთვის, როგორც პუშკინს, ლერმონტოვს, პასტერნაკს, მანდელშტამს, ესენინს, ევტუშენკოს, ვოზნესენსკის, ბროდსკის და ბოლოს ბელას, რომელმაც მას მეორე სამშობლო უწოდა და შესანიშნავი კრებული „სიზმრები საქართველოზე" გვისახსოვრა. მე ის ბევრად ადრე გავიცანი, ჯერ კიდევ სტუდენტი მისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში მის ლექსებს ვკითხულობდი. მერე იყო თბილისური დუქნები, შეხვედრები ოჯახებში, გურამ ასათიანი, გია მარგველაშვილი, შურა ციბულევსკი, ძმები ჭილაძეები... ვერ ვმალავდით აღფრთოვანებას მისი ნიჭით, სილამაზით, მომხიბვლელობით, მაგრამ მივაგეთ ის პატივი სიცოცხლეში, რასაც იმსახურებდა?!

ახლა, გვიანია? შეიძლება.

გოგი ხარაბაძე

Von Starnberg nach Georgien und zurück

Ein Reisebericht von Hans-Rainer Schuchmann

Die Reise nach Georgien verdanken wir einem besonderen Umstand. Vor wenigen Jahren erst hat mein Bruder ein wirtschaftlich angeschlagenes Weingut im schönsten Teil des Telavi Ditrict, im Dorf Kisiskevi, erworben. Land und Leute, natürlich die schöne Lage des Weinguts, hatten es ihm von allem Anfang angetan. Seither unternimmt er große Anstrengungen, daß dort wieder traditionell erstklassige Weine produziert werden. Als Compagnon für das unternehmerische Wagnis konnte er einen ortsansässigen erfahrenen Kellermeister gewinnen. Mitte 2010 war es schließlich soweit. Die wesentlichen Bauarbeiten auf dem Weingut waren abgeschlossen, im Alazani-Tal neue Rebstöcke gepflanzt, Weinkeller und Abfüllanlage mit neuester Technik ausgestattet. Ob wir nicht nach Georgien kommen wollten, uns das *Château Schuchmann Wines* anzusehen und georgischen Wein zu probieren? Natürlich wollten wir.

Zeit meines Lebens bin ich gern und viel gereist. Schon als Schuljunge per Fahrrad von München nach Schweden und Norwegen. Später, mit dem ersten eigenen Auto, kreuz und quer durch Europa, vom Nordkap bis nach Sizilien, von der Bretagne bis in den Balkan. Irgendwann entdeckte ich den besonderen Reiz des Fernreisens mit der Eisenbahn. Einfach in einen Zug einsteigen mit sorgfältig gepacktem Rucksack, aussteigen und verweilen wo es besonders schön ist und irgendwann wieder weiterfahren. Traumreisen kann man nicht buchen, man muß sie selbst machen. Die ersten Zugfahrten führten mich nach Griechenland, in die Türkei und den Nahen Osten. Später, gemeinsam mit meiner Frau, fuhren wir durch Spanien und Marokko, durch Portugal und Griechenland und unzählige Male durch Italien. Gelegentlich machten wir in südlichen Ländern wochenlange Wanderungen, etwa auf dem uralten *Jakobsweg* nach Santiago de Compostella und dem *Alta Via* von Ventimiglia nach La Spezia über die Höhen der Ligurischen Alpen, der italienischen Seealpen.

Jetzt fragten wir uns, ob so etwas auch für eine Reise nach Georgien funktionieren würde? Es hat wunderbar funktioniert. Gut zwei Wochen ließen wir uns Zeit für die lange Anreise durch Österreich, Ungarn und die Ukraine. In Odessa gingen wir an Bord eines großen Fährschiffes, genossen die beschauliche Fahrt durch das Schwarze Meer und betraten in Poti erstmals georgischen Boden.

Ich erinnere mich an den trüben Abend unserer Ankunft. Es wurde schon dunkel, Nieselregen und ein kühler Wind. Heruntergekommene Hafenanlagen, es roch penetrant nach Öl und Benzin. Ist das nun das sagenumwobene Land der Griechen, der Garten Eden? Wo werden wir heute Nacht bleiben? Werden wir einen Geldautomaten finden, der auch funktioniert? Ein offenes Geschäft, ein Gasthaus? Wird uns hier überhaupt jemand verstehen? Der jungen Grenzbeamte am Hafen, der unsere Pässe entgegen nahm, blickte kurz auf unsere prallen Rucksäcke, lächelt und sagte auf Deutsch: “Willkommen in Georgien”. Da wußte ich, daß es eine gute Reise werden wird. Am nächsten Morgen schien strahlend die Sonne.

Unser Schiff aus Odessa im Hafen von Poti

Georgien hat uns das Reisen über Land leicht gemacht. Wenn wir etwas ratlos versuchten, ein Hinweisschild zu entziffern, fand sich rasch jemand, der uns zur richtige Marshrutka führte. Amüsiert hat uns, daß viele Kleinbusse noch deutsche Aufschriften tragen. Auch ein Fahrzeug der *Diakonie Berlin* war dabei. Auf welch geheimnisvolle Weise es wohl zum Didube Busterminal

in Tiflis gelangt ist? Unglaublich, wieviele Menschen in so einen Kleinbus hineinpassen, er scheint nie endgültig voll zu sein.

Mit den unverwüstlichen Marshrutkas sind wir wohl behalten in die entlegendsten Gegenden gekommen. Und wenn wir einmal zur Unzeit allein die Landstraße entlang gingen, passierte es, daß ein Auto neben uns anhielt, um uns ein Stück mitzunehmen. Auf dem Weg vom Kloster Gelati nach Motsameta war es ein junger Soldat, der gerade von einer Übung kam.

Am Busterminal in Kutaisi

Mit unseren roten Rucksäcken und den schweren Wanderstiefeln wurden wir natürlich überall als Ausländer erkannt. In aller Regel auch als Deutsche identifiziert - und dann besonders herzlich begrüßt. Eine georgische Deutschlehrerin in Kutaisi strahlte, von uns endlich wieder einmal muttersprachliches Deutsch zu hören. Und die georgischen Kinder taten, was Kinder überall auf der Welt tun: sie erprobten an uns ihre wenigen englischen Vokabeln: *Where are you from? What is your name?* Für uns die wohltuende Erfahrung, abseits des touristischen Mainstreams zu reisen.

Wir lernten rasch, wie köstlich ofenfrisches Khachapuri schmecken kann, selbst wenn von einem Stück Pappe auf einem staubigen Marktplatz angeboten wird. Und daß offizielle Mahlzeiten eine gute Kondition erfordern, was die Üppigkeit der Speisen und die Standfestigkeit beim Wein betrifft. In dieser Hinsicht waren die Tage im Château von *Schuchmann Wines* natürlich besonders anstrengend.

Liebevolle Aufnahme fanden wir bei privaten Vermietern - ob in Städten oder mitten im Kaukasus unweit der russischen Grenze. Um die gastfreundlichen Häuser allerdings zu finden, kommt man ohne einen *Lonely Planet* nicht aus. Weder am Hauseingang noch am Gartenzaun findet sich irgendein Hinweis. Und das ist auch gut so. Es ist eine ganz besondere Gemeinschaft von Reisenden und Gastgebern, die hier auf höchst subtile Weise zusammengeführt wird. Dem unbekannten Fremden öffnen sich freundlich die Türen, er darf Gast sein für den Abend und die Nacht. Man unterhält sich bei bester georgischer Kost am Küchentisch, auch wenn manchmal keiner die Sprache des Anderen versteht.

Von den vielen ehrwürdigen Kirchen und Klöstern haben wir zumindest einige besuchen können. Über

Sameba Kirche in Tiflis

Generationen waren sie zwangsweise verwaist und dem Verfall preisgegeben. Nun wird überall gebaut, repariert und restauriert. Die georgische orthodoxe Apostelkirche spielt wieder eine wichtige Rolle: im Selbstbewußtsein der Nation wie im Alltag ihrer Menschen. Da kommt es bei den Sanierungsarbeiten nicht immer auf peniblen Denkmalsschutz an, sondern daß die Kirchen wieder einladende Zeichen setzen, stolz und weithin sichtbar. Unvergessen die Tsminda Sameba vor der majestätischen Kulisse der schneebedeckten Berge des Kaukasus und das Kloster Ananuri auf dem Weg von Tiflis dorthin; die Ruine der Bagrati Kathedrale über der Stadt Kutaisi und die Jvari Kirche bei Mtskheta; die Klöster Alaverdi, Nekresi oder Gremi.

Unser Rückweg von Georgien nach Deutschland führte uns durch die Türkei. Am Hauptbahnhof in Tiflis - einem

Jvari Kirche bei Mtskheta

glamourösen Einkaufszentrum mit eher beiläufigem Gleisanschuß - lösten wir eine Fahrkarte für den Nachtzug nach Batumi. Noch blieb uns an diesem warmen Sommerabend viel Zeit. Wenige hundert Meter vom Hauptbahnhof, unterhalb der lauten Straße und direkt an der Kura, lud ein ruhiger Biergarten zum Abendessen ein. Für die Nachtfahrt hatten wir im Rucksack noch eine gute Flasche Saperavi. Bei Sonnenaufgang erreichte unser Zug das Schwarze Meer, durchs offene Abteilfenster wehte eine frische Brise herein. Im sommerlich heißen Batumi verbrachten wir unseren letzten Georgien-Tag. Bis nach Hause in Starnberg waren es noch 4.000 Kilometer - doch das ist eine andere Geschichte.

Ankunft unseres Nachtzuges in Batumi

Georgien hat in den letzten zwanzig Jahren einen bewundernswerten wirtschaftlichen Aufschwung geschafft. Es wird Zeit brauchen, bis überall normales Leben einzieht, etwa aus der Noch-Geisterstadt Sighnagi ein wirkliches Künstler- und Kulturzentrum geworden ist.

Wir haben von Georgien nur die Sonnenseite erlebt. Das schwer zugängliche Abchasien erst zu Hause auf ein paar meisterhaften Fotos gesehen, über das kriegsverwüstete Südossetien durch ausführliche Reiseberichte von Journalisten erfahren. Bei unserem nächsten Besuch hat sich hoffentlich das eine oder andere in Georgien etwas zum Besseren gewendet. Meine Frau und ich werden auf jeden Fall wiederkommen, wahrscheinlich noch im Herbst dieses Jahres.

Erst zu Hause in Starnberg ist uns bewusst geworden, dass wir in vielen Kirchen und Klöster gewesen sind, ohne je eine einzige orthodoxe Messe beigewohnt zu haben, noch nicht einmal einem geistlichen Chorkonzert. Offensichtlich waren wir stets zur falschen Zeit am falschen Ort. Der Münchner IBERISI-Chor hat da für uns eine ganz wesentliche Lücke geschlossen. Zum ersten Mal erlebten wir ihn am 14. November letzten Jahres in München-Solln - und waren begeistert. Noch am selben Abend fragte ich Davit Kintsurashvili, ob er mit dem Chor nach Starnberg kommen wolle - er sagte spontan zu. Das Konzert hat am 19. März 2011 in unserer Friedenskirche stattgefunden und seine fröhliche Fortsetzung im Gemeindesaal. Das Echo war überwältigend.

Es hat uns überrascht, wie viele Georgier in und um München anzutreffen sind. Inzwischen haben wir manch freundschaftlichen deutsch-georgischen Kontakt geknüpft. Am 6. November 2010 durften meine Frau und ich auf Einladung von Leri Datashvili am 65. Jubiläum des Georgischen Vereins in Deutschland teilnehmen. Dort lernten wir auch Pater Tamaz Lomidze kennen. In der Georgisch-orthodoxen Kirche haben wir mit ihm die Weihnachtsmesse gefeiert. Am 13. März waren wir zu Gast beim panorthodoxen Chortreffen in St. Anton in München, bei dem der IBERISI-Chor überragend war.

In Vorbereitung ist ein Auftritt der georgischen Tanzgruppe "Lomsia" am 1. Juli in der großen Schlossberghalle in Starnberg - als Gemeinschaftsprojekt des Georgischen Vereins und der Evang. Kirchengemeinde. Ich bin sicher, dass es wieder ein rauschender Festabend wird.

Vorbereitet von

Merab Kutsia

ქართული სიმღერის ფეიმი

19 მარტს მიუნხენში მოღვაწე ქართული სიმღერისა და ცეკვის გუნდმა „იბერისმ“ კიდევ ერთი დაუვიწყარი კონცერტი შესთავაზა ამჯერად შტარნბერგელ მაყურებელს. კონცერტის ინიციატორი გახლდათ ადგილობრივი ევანგელისტური გაერთიანების ხელმძღვანელი ჰანს რაინერ შუხმანი. შტარნბერგში ქართული საღამოს გამართვის იდეა მას „იბერისის“ ერთ-ერთ კონცერტზე ყოფნისას დაებადა. ბატონი შუხმანი კარგად იცნობს საქართველოსა და ქართულ კულტურას, მას უმოგზაურია საქართველოში და „იბერისის“ სიმღერით აღფრთოვანებულმა გუნდის კიდევ ერთ წარმატებული გამოსვლა გახადა შესაძლებელი.

კონცერტი გაიმართა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი, რომელიც მხოლოდ ქართულ საგალობლებს მოიცავდა, მიმდინარეობდა შტარნბერგის ევანგელისტურ ეკლესიაში. ის ასევე შეიცავდა ბატონი შუხმანის სიტყვას, რომელშიც საკმაოდ ვრცელი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ქართულ გალობას, საქართველოსა და მის ისტორიას. მისი დასრულების შემდგომ მაყურებელმა, მათ შორის რამდენიმე პროფესიონალმა მუსიკოსმა, ერთსულოვნად აღნიშნა გუნდის პროფესიული წარმატება, განსაკუთრებული მადლობა და კომპლიმენტები დაიმსახურა გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა.

კონცერტის მეორე ნაწილი გაგრძელდა ევანგელისტური გაერთიანების საღონისძიებო დარბაზში. აქ „იბერისმა“ ხალხური სიმღერები და ცეკვა წარმოადგინა. მაყურებელი ასევე ძლიერ აღაფრთოვანა, ბატონი შუხმანის ინიციატივით, მხატვრულად წაკითხულმა ნაწყვეტმა პოემიდან „ვეფხისტყაოსანმ“. დარბაზში შექმნილ ქართულ ატმოსფეროს თავის ლაზათს მატებდა ბუფეტი ქართული კერძებითა და ღვინით. სასიამოვნო შთაბეჭდილებებით აღსავსე მაყურებელები აღტაცებას ვერ მალავდნენ და პირადად გამოხატავდნენ მადლობას გუნდის ხელმძღვანლთან, მის თითოეულ წევრთან და კონცერტის ორგანიზატორებთან. თავის მთავარ იდეას - „Georgien-Sakartvelo mit allen Sinnen erleben“ - ქართულმა საღამომ შტარნბერგში ხორცი შეასხა, ხოლო „იბერისმა“ კი კიდევ მრავალი ერთგული მსმენელი შეიძინა.

სოფო კუპრაშვილი

მართლმადიდებლობის კვირა მიუნხენში

2011 წლის 13 მარტს უკვე ტრადიციად ქცეული მართლმადიდებლობის ზეიმი ჩატარდა. აღდგომის მარხვის პირველ კვირადღეს მიუნხენის მართლმადიდებლური ეკლესიების მგალობელთა გუნდები ხვდებიან ერთმანეთს და თავიანთი საგალობლებით ადიდებენ უფალს. ამ ტრადიციას 2001 წლის 4 მარტს ჩაეყარა საფუძველი. თავიდან ბერძენი მართლმადიდებლები გვიმასპინძლდებოდნენ ხოლმე, ახლა უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა მართლმადიდებლური ეკლესიები უღებენ კარს ამ ლამაზ დღესასწაულს.

წელს მასპინძლის მისია ჩვენმა სამრევლომ იკისრა. რადგან ამ დღეს გუნდების გარდა ყოველთვის ბევრი მსმენელი მოდის ხოლმე, ჩვენ არ გვექნებოდა საშუალება, ჩვენს ეკლესიაში დაგვეტია სტუმრები. ამიტომ ჩვენს ყოფილ მასპინძლებს, წმინდა ანტონის სახელობის კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს ვთხოვეთ დახმარება და მათაც სიამოვნებით დაგვითმეს ეკლესია.

კონცერტში მონაწილეობა რუსული, ბულგარული, სომხური, ბერძნული, სერბული და კოპტური ეკლესიების გუნდებმა მიიღეს. კონცერტი მიუნხენის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის მგალობელთა გუნდმა დაასრულა. ჩვენს რეპერტუარში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ დაწერილი რამდენიმე საგალობელიც იყო.

კონცერტის შემდეგ, იქვე ეკლესიის უკან მდებარე დარბაზში სტუმრებს ქართული კერძებითა და ღვინით გავუმასპინძლდით. კონცერტიდან მიღებული სასიამოვნო განწყობა ჩვენი გუნდის მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა კიდევ უფრო გააძლიერა. ამ განწყობით დავემშვიდობეთ ჩვენს მართლმადიდებელ მეგობრებს, მომავალ წელს ისევ შეხვედრის იმედით.

მადლობა უფალს!

ნანა გობეჩია

ფელეტონი

გურული პარადოქსი

ანუ როგორც ერთი ჩემი მეგობარი იტყვის: მსოფლიო ორ ნაწილად იყოფა — გურულები და დანარჩენი.

“ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისაᲗ”.

ამიტომაც გურია პარადოქსების მხარეა, თუ პარადოქსული.

ამაზე ქვემოთ.

გურია ნამდვილად არის ლამაზი.

გურია არნახულად ღარიბია.

შეიძლება იმიტომ, რომ წარუმატებული ექსპერიმენტების “საუკეთესო” პოლიგონია: იზაბელა (ცნობილი ადესად), დაფნა, ტუნგო და ფრანგულა მსხალი, სოფელ მერიის სამხედრო ქალაქი, შეკვეთილის ლაბორატორიები და ათასი წამოწყებული და ვერაღსრულები საქმე.

ამის გამო გურულებს ხშირად აბრალებენ, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილების და მოქმედების ხალხია, სიახლეებს გადამატებულად ამყოლი... და ისინი მართლები არიან.

გურულები ხშირად წუწუნებენ, რომ ამხელა ნიჭის პატრონი ხალხია და განგებას შურს მათი – არასოდეს უმართლებთ... და ისინიც მართლები არიან.

გურულებს უყვართ შრომა — ერთი ოთხმაცდაათს გადაცილებული გლეხი, ჩემს თვალწინ სასიკვდილო სარეცელზე, სრულიად უგონოდ იქნევდა ხელს — თითქოს თოხნიდა.

მაგრამ გურია არნახულად ღარიბია.

გურიის მთა და ბარი განსხვავდება, მე მათ სუნით ვცნობ, რადგან ორივეგან მიცხოვრია. ჩემთვის მთას ანწლის, შუაცეცხლით გაბოლილი კედლების და თხის კურკლის სუნი აქვს, ბარს — ოდნავ მომპალი მანდარინის, ერთნახადი არაყის და სკოლის მერხის.

გურიაში არის ნისლიანი ბახმაროც და მაგნიტურ ქვიშიანი ურეკიც, ვაზიანი ბახვიც და ციტრუსიანი შრომა. (ზუსტად ასეთ ფრაზებს წაწყდებით ოთხმოციანი წლების „საიმიჯო ალბომებშ", ვთქვათ მსგავსი სახელით — "მწვანე ოქროს ქვეყანა")

ანუ გურია მდიდარიცაა.

რა ამის პასუხია და მიუხედავად კრიმანჭულისა, გურიაში ტირილი უფრო უყვართ, ანუ დატირება. ხოლო დაკრძალვის რიტუალში ნადვილად არის კარნავალურობის მიმზიდველი სიჭარბე. ხშირად ვხლებივარ ჭირისუფალს ერთი სოფლიდან მეორეში და მინახავს ქალების საოცარი მეტამორფოზა — საწებლის რეცეპტიდან მომენტალურად მოთქმა-ვაებაზე გადასვლა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ორივე მდგომარეობა (საწებელი და ვაი-ვიში) ჩემთვის არნახულად ბუნებრივია.

სწორედ ეს არის გურულობის პარადოქსი.

გურულები გულწრფელები არიან მაშინ, როცა თავგანწირვით გაძალებენ ღვინოს და პურ-მარილს, ლამის დანას გაბჯენენ ყელზე, რომ რაც უნდა გეჩქარებოდეს, ქეიფი განაგრძო და მაშინაც, როცა უკვე წასულ სტუმარს ზედმეტი ჭამა-სმისა და ნამეტანი გვიანამდე დარჩენის გამო ლანძღავენ. (ადგილის, დროის და მოქმედების ერთიანობა დაცულია).

გულწრფელები არიან როცა „ქვეყნის დამაქცევარ შევარდნაძეს" წყევლიან და როცა მისი „გურული წარმოშობიშ ამაყობენ.

და ასე შემდეგ.

„რაფერ ხარ? როის ჩამოი? როის მიხვალ?"

ეს კითხვები ერთ მთლიანობად, სხაპასხუპით დაისმის და მათი ირიბი დატვირთვა დღემდე არ მინდა ამოვიცნო.

გურიაში კეთილი ხალხი ცხოვრობს.

გურულებს (ალბათ როგორც ყველა ქართველს) ზღვა არ უყვართ, ანუ არასდროს უყურებენ მას, როგორც სხვა საზღვაო ქვეყნის შვილები. რაღაც გაუცნობიერებელი შიში აშორებთ მასთან. ცხენოსანი გურული (გავიხსენოთ ამერიკული ოდისეა) რატომღაც უფრო ბუნებრივი სიტყვათშეთანხმებაა, ვიდრე ნაოსანი გურული. ზაფხულობით, ნაპირს სულ რაღაც სამიოდ კილომეტრით დაშორებული სოფლიდან ისეთივე მოწიწებით მიდიან საბანოდ, როგორც ვთქვათ კახეთიდან ჩამოსული სტუმრები, ფრაზა „ზღვაზე მივდივარ" ამ ორი კუთხის მცხოვრებისთვის ზუსტად ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელია.

კარგად მახსოვს საბჭოთა დროს ეგზომ პოპულარული დიზელის ავზები (გნებავთ „სალიარკის ბაკი"), რომელიც თითქმის ყველა ეზოში იდგა, როგორ დანანებით დაჭრეს და გადააკეთეს ე.წ. თურქულ ღუმელად — მეგონა ვინმე ახლობლის სიცოცხლეს ემშვიდობებოდნენ.

ასევე დიდი სიმძიმილი დაჭირდა ნაყანარზე (რომელიც ოდესღაც ნაჩაიარი იყო), თხილის გაშენებას (კიდეებზე კივის არც თუ წარმატებული დარგვის შემდეგ).

გურიაში ღმერთი თავისებურად სწამთ, პირჯვარს ისე სწრაფად იწერენ, მამაზეციერი ვერაფრით შეამჩნევს.

გურულების საუბრიდან ორ სიტყვას თუ მოკრავ (წაკრავ, გამოკრავ) ყურს, კმაყოფილი უნდა დარჩე.

სოფელ ლიხაურში, ძველ კლუბში საქართველოში ერთ-ერთი პირველი დისკოთეკა გამართეს.

ბევრ გურულს საწერ მაგიდაზე ამერიკის დროშა აქვს გადაფენილი.

სოფელ ნატანებში, რკინიგზის სადგურის მოედანზე სტალინის შთამბეჭდავი ძეგლი დგას.

გურულებს ჭყინტი ყველის ჭამა უყვართ.

თვალის ჩაპაჭუნებაც.

გურია „სიცოცხლის სამოსახლოა", რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავს : „გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდა".

გიორგი კეკელიძე



ნოველა აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან

ლევან მიქელაძე

საკვალიო ამბავი

ნატალია ბაზილევსკაია რუსი არისტოკრატის ქალიშვილი გახლდათ, აკაკი ბრწყინვალე ქართველი თავადის როსტომ წერეთლის თვალის სინათლე ბიჭი.

შესახედავადაც ორივენი მოხდენილები იყვნენ და იფსკვნეს ჯვარი.

მთავარი მიზეზი მათი შეუღლებისა, რასაკვირველია, სიყვარული იყო, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, ცოტა-ცოტა - როგორც პოლიტეკონომიის უნიჭო ლექტორი გვეტყოდა ხოლმე - „მატერიალურმა წახალისებამაც" წაუბიძგათ:

ჩრდილოეთის მშვენიერ ასულს რომ მაღალი, ხუჭუჭთმიანი ქართველი თავადი მოეწონა, იმ დროს მამაპაპური სიმდიდრე მთელს რუსეთის იმპერიაში ასიდან სამს თუ ჰქონდა შერჩენილი. ბაზილევსკების ფული უკვე გადაეწოვა პეტერბურგელი გილდ-ვაჭრების ქისას, ორი კაპიკი, რაც დარჩენოდა, სადავო და სადავიდარაბო გამხდარიყო, ხოლო როსტომ წერეთელს (მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება) თავისი ქონება უკვე კარგა ხნის წინ დაემღერებინა.

როცა ამური ზეობს, მოტრფიალენი კუჭზე არ ლაპარაკობენ, ხოლო აკაკიზე უკეთ ვინ იცოდა, რომ „სიყვარული ყველასათვის ვალია" და იგი „განურჩევლად იმონებს, კაცია თუ ქალია".

ისე, ჩვენს შორის დარჩეს, გულის სიღრმეში ხანდახან გაჰკრავდა ხოლმე ფიქრი:

არისტოკრატკა გოგოა, პეტერბურგის მაღალ წრეებთან დაახლოებული, შევირთავ. ჯერ ერთი, ნახევრადმშიერი მეგობრები ცოტას ამოვისუნთქავთ და მერე, იმპერიის დედაქალაქის ძნელად შესაღწევ სალონებთან დამაკავშირებსო.

ულამაზეს ნატაშასაც გამოუწია გულმა ზღაპრული კავკასიისკენ. როგორც აკაკი მეუბნება, წერეთლების გვარი გავლენა-სიმდიდრით საქართველოს საუკეთესო გვართა სამეულში შედის, დავუკავშირებ ბედს კავკასიას, ამ მზიან-ხილიან კურორტ ქვეყანაში ზაფხულობით ჩავალ და თითქმის გაკოტრებულ ოჯახსაც ხელს მივაშველებო.

გავიდა თაფლობის თვეები და ახალყოილთა თავებში სხვანაირი ფიქრი გაკრთა. რა მეჩქარებოდაო, დაიწუწუნებდა ხოლმე აკაკი მაშინაც კი, როცა მთელი საქართველო „უგვირგვინო მეფეს" და „საქართველოს ბულბულს" ეძახდა. ხოლო ნატალია ბაზილევსკაიას, როგორც კარგად აღზრდილი ქალის, წერილები აშკარა სინანულს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ ყველა წერილი თითქმის ერთნაირი შინაარსისაა - ლოლია უკვე დიდია და, როგორც გინდა, (თუნდაც ქვა გახეთქე) იშოვე ფული და გამოგვიგზავნეო.

საქართველოს ბულბულს მთელი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბის ჭია ხრავდა და კვირაში სამი დღე თუ „თორნიკე ერისთავს" წერდა, სამი დღე იმასაც ფიქროდა, ფული რა გზით ეშოვა.

რედაქციები რომ ორ კაპიკს გადმოუგდებდნენ, სასტუმროს (ბინა სხვიტორის გარდა არსად ჰქონდა; არც ქუთაისში და არც თბილისში) და საჭმლის ფულად ,ძლივს ჰყოფნიდა. თუ რამე გადარჩებოდა, ბანქოში აგებდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბანქოს თამაშობდა და არაფერი მოუგია, მაგრამ ჯიუტად არ ეშვებოდა.

ზაფხულობით მეუღლე და შვილი სხვიტორში ეწვეოდნენ. ნატალიას საქართველოში მუდმივად ცხოვრებას ვერ გააგონებდი. პირველ ხანებში აკაკის აძალებდა პეტერბურგში გადმოსვლას, მაგრამ მგოსანი ერთსა და იმავეს პასუხობდა: რა გავაკეთო ჩემი ქართული ლექსებით მანდო.

მერედამერე მიხვდა ცოლი, რომ აკაკის პეტერბურგისკენ ვერ გადაქაჩავდა და აღარც იჟინებდა მაინცდამაინც. ერთადერთი, რასაც არ იშლიდა, ფულის გაუთავებელი მოთხოვნა იყო. თანაც ზოგიერთ წერილში მოთხოვნაში აქა-იქ მუქარაც გაერეოდა ხოლმე.

ზაფხულობით ჩამოდიოდა-მეთქი, ნატალია სხვიტორში და, მართალია, წერეთელთა საგვარეულო სახლის აივნიდან მერჯევს და მოდინახეს საათობით შესცქეროდა, მაგრამ მწვანე სანახებს რომ თვალს მოაშორებდა, ახლომახლო არაფერი მოსწონდა. არც უშნო, მოუწყობელი სახლი, არც ქართული

წიწაკიანი კერძები და არც ხელნაწერს მიჭიჭინებული წვეროსანი ქმარი.

ერთადერთ მოსამსახურეს აიძულებდა, ჩიხურადან ყოველდღე 15 კოკა წყალი მოეტანა და აგურის დიდი აბაზანა გაევსო, რათა კნეინას ყოველდღე მინერალურ წყალში (როგორც თვითონ ეძახდა) ებანავა. ჩიხურა კი საკმაოდ შორს იყო და საწყალი მოსამსახურე წელში წყდებოდა, სანამ ახირებულ ქალბატონს აბაზანას გაუვსებდა. ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიგყავსო, დაიწყებ და შუაგზაზე მიატოვებო, ქართველი და ასეთი უნიათო არ გამიგიაო, ჩაულაპარაკებდა ხოლმე ბუზღუნა ცოლი და თავგაბეზრებული აკაკი დღეებს ითვლიდა, როდის გაისტუმრებდა ოჯახს პეტერბურგში.

ნატალია ბაზილევსკაიას ნათქვამში ცოტა სიმართლეც ერია. აკაკი წარმატებით სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ სწორედ მაშინ, დამამთავრებელ „ეგზამენებამდე" რომ ხუთიოდე თვე იყო დარჩენილი, გიმნაზია მიატოვა და საჩხერეში დაბრუნდა.

რატომ ჰქენი ესო, რომ ჰკითხეს ახლობლებმა, ძმასავით სამხედრო სამსახურში მინდა შესვლა და ამ გამოცდებით რაზე გავიწვალო თავი, გიმნაზიის დიპლომი აქ არაფერში დამჭირდებაო, უპასუხა.

არადა, დაჭირდა.

ერთი წლის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. სამხედრო სამსახურში შესვლა არც უფიქრია, იქ ქართველ სტუდენტებს შეხვდა და უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა. უნივერსიტეტში გიმნაზიის დიპლომი მოთხოვეს და რაკი არა ჰქონდა, თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს.

აკაკიმ ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში გაიარა საუნივერსიტეტო კურსი - ყველა გამოცდა მაღალ ნიშანზე ჩააბარა და დეკანმა განუცხადა - წადი, წადი, ჩაბარე რომელიმე გიმნაზიაში ექსტერნად გამოცდები, ცნობა მოგვიტანე და დიპლომს გამოგიწერთო. კარგი, ასე მოვიქცევიო, დაყაბულდა დეკანს აკაკი, მაგრამ არც ამჯერად შეასრულა სიტყვა. გიმნაზიის საგნები არ ჩააბარა და ამის გამო არც უნივერსიტეტის დიპლომი მიუღია.

იცოდა თუ არა ბაზილევსკაიამ, რომ აკაკი ორივე სასწავლებლიდან უდიპლომოდ გამოვიდა, ჩვენთვის უცნობია.

ვერცერთი საქმე ბოლმდე ვერ მიიყვანეო, კნეინა სხვა საქმეებზე მიანიშნებდა: ერთ-ერთი „ბოლომდე მიუყვანელი საქმე" ჭიათურის მარგანეცის საქმე იყო, მაგრამ ამ საქმის „ჩავარდნაში" აკაკი არ იყო დამნაშავე და ეს ნოველაც იმიტომ იწერება, რომ პოეტს თანამეცხედრის უსაფუძვლო ბრალდება ავაცილოთ.

ცხოვრებაში ორი რამის იმედი ჰქონდა - ბანქოში ფულის მოგების და მარგანეცის შავი ქვისა.

არცერთმა არ გაუმართლა.

მარგანეცის საქმე ასე იყო: ბავშვობიდან ახსოვდა: ერთხელ მამამისმა სოფელ წირქვალიდან ხორბლის მომტანი დატუქსა: ხომ გითხარი, შე კაცო, ქვა-გუნდა არ შეაყოლო- მეთქი. ეგ ხორბალი კაცს აღარ ეჭმევა, სხვა კოდში ჩაყარე ქათმებისთვისო.

ქვა-გუნდა რა არიო, აკაკიმ იკითხა (მაშინ თორმეტი წლის იყო).

ქვა-გუნდა, შვილო, შავი ქვაა, ჭიათურის სოფლებში ყველგან ჰყრია. თუ ხორბალს შეჰყვა, ფქვილს აშავებს და კუპრივით შავი პური ცხვებაო.

მოგვიანებით პეტერბურგში სტუდენტობის დროს "სამეფო ჟურნალში" პროფესორ აბიხის სტატია წაიკითხა: შავი ქვა ანუ მარგანეცი ძვირფასი მინერალია, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში, რეინის პირას მოიპოვებენ. იქაც მადანი უკვე ილევა და რა ეშველება მსოფლიოს უმარგანეცოდ, არ ვიციო, წუხდა აბიხი. ეჭვი მაქვს, შავი ქვა საქართველოშიც უნდა იყოსო, დასძენდა.

აბიხის სტატიის წაკითხვისას სტუდენტს ქვა-გუნდა გაახსენდა, მაგრამ ამაზე ფიქრი დიდხანს არ გაჰყოლია, მითუმეტეს, რომ არ იცოდა, ქვა-გუნდა თუ მარგანეცი აღმოჩნდებოდა.

მერე, როცა საქართველოში დაბრუნდა, უსახსრობის გამო ქამარი არაერთხელ მოიჭირა და პეტერბურგიდან ნატალიას წერილებმაც იმატა (ჰე, რას შვრები ახლა; ცოლშვილს რომ მოეკიდე, რჩენა რომ უნდოდა, არ იცოდიო?!), მაძიებელ გონებაში კვლავ ამოუტივტივდა ჭიათურის შავი ქვა.

თბილისიდან გეოლოგი სვიმონოვიჩი ჩამოიყვანა.

სვიმონოვიჩმა ერთი თვე დაჰყო საჩხერე-ჭიათურაში.

აკაკი გვერდიდან არ მოშორებია. პირველ დღესვე ლუპით დახედა თუ არა, გეოლოგმა მაშინვე ახარა პოეტს: წყალი არ გაუვა, სწორედ მარგანეციაო.

დანარჩენ 29 დღეს სვიმონოვიჩი და მისი გულუხვი მასპინძელი დასეირნ-დაცხენაობდნენ ჭიათურის სოფლებში. აკაკის იმის გაგება სურდა, ბევრი იყო თუ არა მადანი. ბახუსის მოყვარულ სვიმონოვიჩს კი, ჩანს, გაუტკბა „ძველშავი", „უსახელოური", ნეშოში გამომცხვარი ჭადი და კეცში შემწვარი ვარიები.

გაირკვა, რომ ჭიათურაში ლამის ულევი მადანი იყო და ვინც მარგანეცის მოპოვებას დაიწყებდა, თვითონ ხომ გამილიონერდებოდა, ქვეყანასაც ააღორძინებდა.

საქმის დასაწყებად ფული იყო საჭირო. აკაკის ყველაფერი ჰქონდა (ნიჭი, ჯანმრთელობა), ფულის გარდა. ჩამოუარა იმერელ თავადებს.

დაიწყებდა თუ არა შავ-ქვაზე ლაპარაკს, მისი მოგვარენიც კი საეჭვოდ შეხედავდნენ, პირში არ

ეუბნებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ქირქილებდნენ: - "როსტომ წერეთლის ბიჭი შეშლილა, რაღაც შავ-ქვაზე აბოდეს. ფული მთხოვა. ჯერ ერთი, სადა მაქს, კიდეც რომ მქონდეს, შავ-ქვაში რავა ჩავდებო. არადა, გარეგნულად რა მშვენიერი ბიჭია, რატომ უნდა მოსვლოდა ეს ამბავიო".

არ გეგონოთ, რომ რაც ახლა წაიკითხეთ, ნოველის ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. თვითონ აკაკი წერეთელი წერს:

„ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს. - ვაი, რა შვილი გადაგერია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ-ქვას დასდევსო".

იმერეთში რომ ვერა გააწყო რა, აკაკი თბილისში ჩამოვიდა. ამილახვარ-ორბელიან-მაქალაშვილები, რასაკვირველია, ზრდილობის გულისთვის ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ფულის ჩადებაზე რომ მიდგებოდა საქმე, ხელებს ასავსავებდნენ - იცოცხლე, ეგ კარგი საქმე იყოს, თავადიშვილო, მაგრამ ჩვენ ფული ვინ მოგვაშავა, ჩვენ მხოლოდ სახელი და დიდებაღა შეგვრჩა. ფული თბილისში მხოლოდ სომეხ სოვდაგრებს აქვთ და იმათ მიმართეო.

მიმართა აკაკიმ სომეხ ვაჭარ შაბუროვს. ფულის მეტი რა მაქვსო, სომეხმა, მაგრამ შავ-ქვაში რომ ფული გადავყარო, მარტო შენ კი არა, მეც გიჟად გამომაცხადებენო. უფრო ნაღდი რამე მოიფიქრე და მოდიო, კრიალოსნის მარცვლით აუწყა შაბუროვმა.

აქ არაფერი გამოდისო და დაჯდა წერად აკაკი.

აგზავნის საზღვარგარეთ წერილებს: ასე და ასეა საქმე. საქართველოში უამრავი მარგანეცია. ჩამოდით და თქვენც აშენდებით, მეც და ჩემი ღატაკი ხალხიცო.

ამასობაში თორმეტი წელი გავიდა.

გააფთრებული ბაზილევსკია პეტერბურგიდან ფულს გაორკეცებული ენერგიით ითხოვს.

თორმეტი წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან აკაკიმ თავისი ხარჯით (ნასესხები ფულით) რვა კომპანია ჩამოიყვანა. ევროპელები ბუტბუტით ათვალიერებდნენ ჭიათურის მიუვალ სოფლებს („საცალფეხო გზაც არსად იყოო", - წერს აკაკი), მაგრამ საბოლოოდ უარს ამბობდნენ შავი ქვის რეწვაზე ორი მოტივით: ჯერ ერთი, საურმე გზამდე მარგანეცის ჩამოტანა ოთუსბირი დაგვიჯდება და მეორეც: აქ, როგორც ვხედავთ, ველური ხალხი ცხოვრობს, „ადამიანს ისე სჭრიან თავს, როგორც ხახვსო".

„აი, მაგ უკანასკნელზედ კი ბოდიში მოიხადეთო", წყრებოდა აკაკი, ჩემი ხალხი უძველესი კულტურის მქონე ხალხია და უბატონოდ არავის მიმართავსო.

ერთი სიტყვით, ბოლოს პეტერბურგში (ისევ ჩვენი „მხსნელი" პეტერბურგი) შინაგან საქმეთა მინისტრ მაკოვამდე მიაღწია აკაკიმ და მაკოვმა შესთავაზა - შავი ქვა, როგორმე პეტერბურგამდე (რა პატარა მანძილია?!) ჩამომიტანე და საზღვარგარეთ მე გავგზავნიო.

პეტერბურგამდე კი არა, სამ ვერსზე - ჭიათურის სოფელ წირქვალიდან საურმე გზამდე ვერ ჩამომაქვსო, ცრემლი მოერია აკაკის.

აბა, რა გიყო, გენაცვალე, მე წყალში მოდგაფუნე თევზის მუშტარი არ გახლავარო, მაკოვმა.

კიდევ კარგი, ხელშეკრულება არ გაფორმდა, თორემ აკაკის ვალებს ხუთი იმდენი დაემატებოდა. ერთ თვეში მაკოვმა თავი მოიკლა. რასაკვირველია, არა შავი ქვის მიზეზით.

ბოლოს მაინც გამოძებნა „განთიადის" ავტორმა კომპანიონი - გვარად ოსტრიაკოვი.

ოსტრიაკოვს მთლად მილიონერი არ ეთქმოდა, მაგრამ შეძლებულ კაცზე მეტი იყო. შეთანხმდნენ: აკაკის ფოთში ოთხი თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი უნდა ჩაეტანა და ფოთიდან „პარახოდით" (აკაკი სწერს ასე) ოსტრიაკოვი წაიღებდა. თითო ფუთ მარგანეცში აკაკი სამ აბაზს მიიღებდა, ხოლო, ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა „შტრაფი" (აკაკის ტერმინია) ასი ათასი ფრანკი.

დატრიალდა აკაკი. ჯერ ანდრონიკაშვილის ქვრივს, სალომე წერეთელს მიადგა; შენს ეზოში შავი ქვაა, უნდა გავიტანო და მიწა იჯარით მომეციო. გასამრჯელოდ წელიწადში 500 მანეთს მოგცემო. სიხარულისგან ცას ეწია ქალბატონი სალომე. რად გინდა იჯარა, ჩემო აკაკი, ხუთას მანეთად მთელ ეზოს საკუთრებად მოგყიდიო. იუარა აკაკიმ. შენ არ იცი, რა სიმდიდრეა შენს ეზოში, მე ვერ ვისარგებლებ შენი უმეცრებით, ამიტომაც იჯარით ვიღებ მიწას წელიწადში 500 მანეთადო.

ქვრივი გაკვირვებული და გახარებული დარჩა.

ფოთში „პარახოდი" იცდის.

აკაკის ნასესხები ფული ხელში უჭირავს, მაგრამ გზამდე შავი ქვის ჩამომტანი ვერ იშოვა. ბოლოს ვიღაც ქვთიან-მადლიანი ვაშაძე მოძებნა.

ვაშაძემ ასეთი პირობა დაუდო: სოფლიდან საურმე გზამდე თითო ფუთ შავ ქვას ზურგით ჩამოვიტან (ოღონდ ღამით ვივლი, რადგანაც აზნაურობის მაძიებელი ვარ და მრცხვენიაო), საურმე გზიდან ცხენით შორაპანში ჩავიტან და იქიდან მატარებელს დავუდებ ფოთში წასაღებადო.

აეწყო საქმე!

აკაკის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ოთხი-ხუთი გზობა ჰქონდა ვაშაძეს გაკეთებული, მეტი არა, რომ გამთენიისას სხვიტორში მიადგა აკაკის.

თავადს სძინავსო, მოსამსახურემ. რა დროს ძილია, დანა პირს არ მიხსნის, როგორმე გააღვიძეთო, ვაშაძემ.

გაიგონა ეს ლაპარაკი აკაკიმ და აივანზე გადმოდგა თეთრნიფხაპერანგისამარა.

ბატონო, გზაზე გლეხები გადამიდგნენ. სად მიგაქვს ე შავი ქვაო. მე ვუთხარი, აკაკი წერეთლის შავი ქვაა, სალომე წერეთლის ეზოდან მომაქვს, ოჯარით აქვს აღებული აკაკის-მეთქი. აკაკი და სალომე არ ვიცით ჩვენო. აკაკის ჩვენს ხარჯზე უნდა გამდიდრებაო, შემომიბღვირეს.

ჩვენ რა შუაში ვართო? აკაკიმ ამოიხვნეშა.

მეც ეგ ვუთხარიყე, თქვენ რა შუაში ხართ-მეთქი, კაცი პატიოსნად ოჯარის ფულს იხდის და ფოთში თავის ხარჯით აგზავნის მარგანეცს-მეთქი. კი მარაო, ე გზა (საცალფეხო ბილიკზე თქვეს) ხომ სოფლის არიო, ამ გზას რო თელავთ, ფული არ გვეკუთვნისო? შემომიბღვირეს. საერთოდ ეგ მარგანეციც ჩვენია, ხალხისაა, ყოველ ფუთზე თითო აბაზი მოგვეც, თვარა, არ გაგატარებთო.

– რამდენიო? აკაკის გაეცინა, - რა ფული ეგულებათ ჩემთან. ვალებით ვარ გაძეძგილი.

მეც ეგ ვუთხარიყენ, კაცი ყელამდე ვალებშია-მეთქი. ერთი სიტყვით, წადი, შენს დამქირავებელს ფული გამოართვი და დაგვირიგე, თორემ ამ გზაზე უტვირთოდაც რომ შეგვხვდე, თავს გაგიტეხავთო. ის ქვა იქვე დამაგდებინეს, ერთი მაგარი პანღური ამომკრეს და გამომიშვეს. მე იქ ამსვლელი აღარა ვარ. იმ ოთხი გზობის (მეხუთეს არ ვთვლი, თუმცა, ნახევარზე ჩამოტანილი მქონდა) რაც მეკუთვნის, გამისტუმრეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ვაშაძემ.

რა ექნა, ჩაუთვალა პოეტმა აზნაურობის მაძიებელს ოთხი ფუთი მარგანეცის ჩამოტანის ხარჯი.

არადა, დრო უღმერთოდ გარბის.

ფოთში „პარახოდი" იცდის და, თუ აკაკიმ მარგანეცი დროზე (ოთხ თვეში) არ ჩაიტანა, "შტრაფ" ასი ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს.

აწრიალდა. მიდგა-მოდგა სასოწარკვეთილი პოეტი და ივანე მუხრანსკის შეუამხანაგდა.

ივანე მუხრანსკიმ სპარსეთიდან შვიდი აქლემი ჩამოიყვანა და აქლემაკიდებული შავი ქვა საცალფეხო ბილიკებით ჭიათურამდე ჩამოჰქონდათ.

სამი დღის შემდეგ აბღავლებული დაბრუნდა მთავარი მეაქლემე. ქარავანში მხოლოდ ხუთი აქლემი ჩანდა.

დანარჩენები რა იქნენო, ერთდროულად იყვირეს აკაკი წერეთელმა და ივანე მუხრანსკიმ. კლდეზე გადამიჩეხეს ორი აქლემი, ბატონო, ადგილობრივმა გლეხებმა და შემოგითვალეს, თუ ფულს არ მოგვიტანს, დანარჩენ აქლემებსაც იმ ორის გზას გავუყენებთო. იქნებ, თქვენ ახვიდეთ და მოურიგდეთ გლეხებსო, მექარავნემ.

ავიდა ცხენით აკაკი.

უძველესი კულტურის წარმომადგენლებმა აკაკის „თორნიკე ერისთავი" და „განთიადი" ფეხებზე დაიკიდეს. თვით აკაკის მოვუსმინოთ: „მორიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზმრადაც არ მინახავს ამდენი ფული".

დაბრუნდა სხვიტორში გულჯავრიანი აკაკი წერეთელი.

სამუდამოდ დასწყევლა შავი ქვა და თავის უიღბლო „მრეწველობასაც" გამოეთხოვა.

ცოლი რომ წერდა, ქვა გახეთქე და ფული იშოვეო; ქვა გახეთქა, მაგრამ გახეთქილი შავი ქვა ფოთამდე ვეღარ ჩამოიტანა.

სიბრაზისგან ენაგამშრალი ივანე მუხრანსკი თავის გზაზე წავიდა.

აქლემები? ნახევარ ფასში მიყიდეს ვიღაც ყაზანელ უზბეკს.

ისევ ფოთს მივუბრუნდეთ.

ქოში უკუღმა ჰყარა ოსტრიაკოვმა, ოთხი თვის მერე ცარიელი „პარახოდი" რომ ტივტივებდა ფოთის პორტში.

სასამართლომ გაითვალისწინა აკაკის, როგორც საზოგადო მოღვაწის, პოპულარობა, მისი გამოუცდელობა მრეწველ-კაპიტალისტის ამპლუაში, თანაც აკაკის ადვოკატმა უამრავი საბუთი მოიტანა ჭიათურელი გლეხებისთვის თნებობისდასამტკიცებლად და აკაკი წერეთელი, რასაკვირველია, „შტრაფისგან" მთლიანად არ გაათავისუფლა, მაგრამ ასი ათასი ფრანკი ხუთი ათას ფრანკზე ჩამოუყვანა.

ეს კი პატარა საქმე როდი იყო (აშენდა იმ მოსამართლის ოჯახი, თორემ აკაკის მამაპაპეული სახლიც ვალში გაიყიდებოდა და ჩვენ დღეს, აკაკის მადლიერ შთამომავლობას, სხვიტორში დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი არ გვექნებოდა).

ისიც უნდა დავძინო, რომ განაჩენის თანახმად, ის ხუთი ათასი ფრანკიც აკაკი წერეთელს ერთბაშად კი არ უნდა გადაეხადა, არამედ - ნაწილნაწილად ლექსებსა და პოემებში (განსაკუთრებით პოემები) აღებული ჰონორარის კვალობაზე.

ამბობენ, ოსტრიაკოვი ორი წელი ელოდაო აკაკის ჰონორარის პროცენტებს, მაგრამ რაკი ორ წელიწადში კაპიკიც ვერ მიიღო, იმ ხუთი ათას ფრანკზეც ხელი ჩაიქნია.

ასე უიღბლოდ დამთავრდა აკაკისთვის მარგანეცის საქმე.

თხის პატრონს (მარგანეცის პირველ აღმომჩენს), რომ იტყვიან, თხის კუდიც არ ერგო.

საქართველოს „უგვირგვინო მეფემ" პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო. სულ დავიდარაბაში

იყო, თავი რომ გაეტანა. ხომ უზარმაზარი საქვეყნო ტვირთი ჰქონდა ზურგზე მოკიდებული; ხომ ქვეყანას პატრონობდა. ამისთვის ხან აპატიმრებდნენ („ხუმარას" რედაქტორობისთვის ციხეში ჩასვეს), ხან სამართალში აძლევდნენ („ინტერნაციონალის" თარგმნისთვის)...

ამის პარალელურად სამოქალაქო საქმეებზეც ხშირად ჩანდა სამართლოს კარზე.

სისხლს უშრობდა თავის მეგობარ მოსამართლეს - ანაპოდისტე მაჩაბელს ახალ-ახალი საჩივრებით.

თუმცა, თითქოს მოჯადოებულ წრეში ტრიალებსო, ანაპოდისტემ ვერცერთი საქმე ვერ მოაგებინა.

ქართველი ერი? საზოგადოება?

საზოგადოება როდის იყო, მისთვის თავგადაკლულ მოღვაწეზე რომ წუხდა.

საქართველო აკაკის ხედავდა ქუჩაში ამაყად, გამართულად მიმავალს, ხედავდა ლექსის თქმის დროს, ან სუფრაზე ყანწით ხელში (სხვათაშორის, არ სვამდა და არც თუთუნს ეწეოდა) და ეგონა, ასე ლაქად, ლამაზად მიედინებოდა აკაკის ცხოვრება.

ამას რა უჭირს, გენაცვალე, ჩვენ ვიკითხოთო, იტყოდნენ მოქალაქენი და ჩაუვლიდნენ.

ჩვენ დედამიწაზე ყველაზე კარგად რაც გამოგვდის, ესაა იუბილეს გადახდა და მკვდრის დატირება.

1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში ზღაპრული იუბილე გაუმართეს.

ღირსეულად დააფასეს საქართველოს ბულბული.

სავანიდან ის აკვანიც კი ჩამოუტანეს, რომელშიც ძიძამ გაზარდა.

ფრაკში გამოწყობილ ბულბულ-კონფერანსიეს (გვარს არ დავასახელებ) "მშვენივრად "მიჰყავდა" საიუბილეო საღამო.

ოპერის თეატრი პოეტის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა.

კულისებში ვაჟა-ფშაველა გამოჩნდა. კონფერანსიეს მხარზე ხელი დაადო - აკაკის ლექსი უნდა ვუძღვნა, მე ვაჟა-ფშაველა ვარო.

გიცნობთ, ბატონო ვაჟაო, კონფერანსიემ. ერთი კი მრავალმნიშვნელოვნად ახედ-დახედა მთის არწივის გამოხუნებულ ჩოხას და ხანჯალსაც შეავლო თვალი.

შებრუნებისას ვაჟამ ერთხელ კიდევ შეაჩერა: - მე ქვემოთ ვიქნები, კარებთან, დარბაზიდან ვეტყვი, ასე უფრო ეფექტური იქნებაო. ბატონი ბრძანდებიო, წამყვანმა.

ვინ არ დაასახელა, ვინ არ გამოიყვანა თმაგადაგლესილმა მერცხალფრაკა კონფერანსიემ, ვაჟა ავიწყდება.

პოეტი დგას და თავის რიგს ელის.

იუბილე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვაჟა-ფშაველა გამოუცხადებლად, „ვეფხვივით, გამოსხლტა სცენაზე" (ზუსტად ასე იგონებს ბაბილინა ხოსიტაშვილი) და აკაკი წერეთელს ლექსი სტყორცნა.

იყო სხვა კურიოზიც:

დიდებული ბანკეტი გაუმართეს აკაკი წერეთელს. ენაწყლიანი თამადა, საყოველთაო სიყვარულის გამოცხადება, ხვევნა-კოცნა...

დამთავრდა ბანკეტი.

მონადიმენიც, საიუბილეო კომისიის წევრებიც მიმოიფანტნენ და აკაკი მარტო დარჩა.

ეტლითაც კი არ გაისტუმრეს შინ გენიალური იუბილარი.

გამოვიდა გალავინსკზე, ცოტა ხანს ფეხით იარა და მერე ეტლს უხმო. სასახლის ქუჩაზე დათიკო სარაჯიშვილთან მიმიყვანეო, მეეტლეს უბრძანა.

მეეტლემ აღვირები აიქნია და ცხენები პაკაპუკით გაუყვნენ გალავინსკს ერევნის მოედნისკენ.

პოლიციამ ოპერასთან გზა გადაკეტა. სამი საათი უსაქმოდ ვიდექიო, მეეტლემ.

ერთი მითხარით, ბატონო, რა ხდებოდა, ვინ ჩამოვიდა პეტერბურგიდან, რას დღესასწაულობენ, ვისთვის შეიკრიბა ამდენი ხალხიო.

აკაკიმ შუბლზე ხელაბანდი გადაისვა, გაიღიმა და თვალმოჭუტვით მიუგო მეეტლეს:

ვისთვის და ჩემთვისო.

მეეტლემ სიცილი ვერ შეიკავა.

არა, მე მართლა გეკითხებითო.

სიყრმეს გეფიცები, მართლა ჩემს დაბადებას ზეიმობდნენო.

მეეტლე ჩაბჟირდა. - რა მასხარა ყოფილხართ, ბატონო - სული რომ მოითქვა, უცნაურ მუშტარს ერთხელ კიდევ გამოხედა და ცხენებს შეუძახა.

1908 წლის 14 დეკემბერს ქუთაისში გადაუხადეს იუბილე.

ბეჟან წერეთლის სახლიდან გამოდის თეთრწვერა ბიბლიური გარეგნობის პოეტი. თეთრი ყვავილებით სავსე, თეთრცხენებიან ეტლში ჯდება. კოფოზე თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მეეტლე ზის - გვარად მელია.

ქუთაისის თეატრამდე ორასიოდე მეტრში ეტლს ახალგაზრდები შემოეხვივნენ და ცხენების გამოხსნა დაიწყეს.

რას შვრებითო, გაწყრა მელია.

ეტლში ჩვენ უნდა შევებათ და ასე მივიყვანოთ საყვარელი პოეტი თეატრამდეო.

არა, ბატონო, ამაზე არ მოვლაპარაკებულვართ. მგოსანს რომ რამე მოუვიდეს, ვინ აგებს პასუხსო, მელიამ.

ვინ მოუსმინა.

პოეტისადმი უბრალო ხალხის თაყვანისცემას ზომ საზღვარი არა აქვს.

შეებნენ და დაძრეს ეტლი ბიჭებმა.

აკაკიმ ფერი დაკარგა. თავის ნათლულს უხმო:

„ამ საფეხურზე დადექი, ვინიცობაა ეტლი გადაბრუნდეს, ხელი მტაცეო. საშინელი მშიშარა იყო აკაკი. თეთრი ხიდი უნდა გაევლოთ და ეშინოდა, რიონში არ გადამჩეხონო. ნათლული ძალიან ღონიერი ყმაწვილი იყო და იმის იმედი ჰქონდა, გზაში თურმე სულ "მამაო ჩვენოს" ლოცულობდა" - იგონებს ნიცა ბაგრატიონი-წერეთელი.

მიდიოდა უცნაური ეტლი ქუთაისის ბულვარისკენ.

მიჰყვებოდა უკან ორცხენშუა ჩამდგარი მეეტლე. იქით-აქეთ ლაგამით ეჭირა მეეტლეზე უფრო გაოცებული, ლამაზთვალება, თეთრი ცხენები. ეტლში შებმული ყმაწვილები მღეროდნენ და თეთრ ხიდზე ისე ხალისიანად ბრაციბრუცობდნენ, რომ, მართლაც, შეიძლებოდა, ნამეტანი სიყვარულით ხიდიდან გადავარდნოდათ ერისთვის დამაშვრალი პოეტი.

გრანდიოზული იუბილე რომ დამთავრდა (რასაც სამასკაციანი სათავადაზნაურო ბანკეტი მოჰყვა რიონისპირას, სოლომონ მეფის სასახლეში), დაღლილი აკაკი ისევ ბეჟან წერეთლისას მიიყვანეს.

იქ იყო ჩამომხტარი.

აკაკი საძინებელში განმარტოვდა, დავიღალე, ცოტა თვალს მოვატყუებო.

მასპინძლები (მათ შორის ივანე იოსელიანიც იყო) სასტუმრო ოთახში დარჩნენ.

უცებ კიბე ამოირბინა ჩოხოსანმა, შუახნის კაცმა: ბატონ აკაკისთან სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა ვნახოო.

ივანე იოსელიანმა უარი უთხრა; დაღლილია, ისვენებსო.

ერთი წუთით შემიშვით, სასიხარულო რამ უნდა ვაცნობოო, უცნობმა.

შემოუშვითო, აკაკიმ დაიძახა.

შეუშვეს.

მართლაც, ხუთიოდე წუთში გამოვიდა სტუმარი, მასპინძლებს მადლობა დაუგდო და კიბე ჩაირბინა.

დაეჭვებული მასპინძლები საძინებელში შევიდნენ.

„აკაკი გაფითრებული დგას შუა ოთახში. - ხედავთ, რა ჩაიდინა ამ საძაგელმა? ახლავე ფული, თორემ გაგათავებო, ხანჯალზე ხელი წაივლო.

- მერე, ბატონო?

სიბრაზისგან პირი გაგვიშრა.

- რა მექნა, უხმოდ ამოვიღე უკანასკნელი ხუთი თუმანი და მივართვი.

მოხუცი პოეტი სულს ძლივს ითქვამდა".

(ივანე იოსელიანის მოგონებიდან).

არ უნდა ლაპარაკი, ძალიან უყვარს ხალხს თავისი პოეტი, თავისი კეთილი მრჩეველი, თავისი გულის მესაიდუმლე.

მაგრამ რაღა თავისი იუბილე ჩაამწარეს, რაღა იუბილის დღეს გაძარცვეს? უცნაური ერი ვართ ქართველები. ზომა არ ვიცით არაფერში.

აკაკი წერეთელს ორჯერ დაეცა დამბლა 1905 წელს და 1915 წელს.

პირველი სისხლისჩაქცევისგან პოეტი განიკურნა პარიზში. ვერ დავუკარგავ; ნატალიამ და ლოლიამ უპატრონეს. პარიზიდან თავის მეგობარს კოტე აბდუშელიშვილს წერდა: - ოჯახმა ექიმები დამახვია, მაგრამ რაღა დროს ჩემი მკურნალობაა, ამ სიშორეზე არ უნდა წამოვსულიყავიო.

მეორედ, 1914 წლის შემოდგომაზე შეუძლოდ იგრძნო თავი და ცოლშვილს შეუთვალა, ჩამოდითო.

თბილისში ბინა დავიქირავოთ და ეს ზამთარი მაინც გავატაროთ ერთადო, ნატალიამ.

იქ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლებიო.

სწორედ თბილისში, ოჯახურ გარემოში ყოფნამ მოუღო ბოლო.

ცოლთან შელაპარაკება მოსვლია და, როგორც ივანე იოსელიანი იგონებს, პუშკინის ქუჩაზე „გრანდოტელში" გადასულა. ძლივს მიუგნიათ. ცივ ოთახში ტანგაუხდელი იწვა ავადმყოფი.

საჩხერეში წამიყვანეთო, ტუჩების ცმაცუნით გაუგებინებია ახლობლებისთვის.

ჩამოუყვანიათ სხვიტორში, ცოტა გამოკეთებულა, მაგრამ ერთ თვეში ისევ ჩაქცევია სისხლი.

დამბლა ვერაგი ავადმყოფობაა.

1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი, 75 წლისა.

მადლიერი საზოგადოების მიერ დიდი მოღვაწის დაფასების კიდევ ერთი მაგალითი გამახსენდა. შემეძლო სადმე ზევით ჩამემატებინა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, აქვე მოვწერ:

სიბერეში აკაკი წერეთელს ქუთაისის ბანკმა პენსია დაუნიშნა, მაგრამ როგორც შენ არ მიგიღია იმ პენსიიდან ერთი კაპიკი, მკითხველო, ისე - არც აკაკის.

სამი წლის განმავლობაში ცოტა წერილი როდი აფრინა ბანკის მესვეურებთან: თქვე კაი ხალხო, გაზეთებში რომ სულ მადლობა მაძახებინეთ, ან მომეცით პენსია, ან მომიხსენითო.

ბანკი დუმილით პასუხობდა.

არც სამი წლის მერე მოეშვებოდა პოეტი ბანკს, მაგრამ სიკვდილმა შეუშალა ხელი.

ქრისტინე ლავანტი

თარგმნა **ვასილ გულეურმა**

პწკარედული თარგმანი
თამარ კოტრიკაძისა

Ich will das Brot mit den Irren teilen,
täglich ein Stück von dem großen Entsetzen,
auch die Glocke im Herzen,
dort, wo die Taube nistet
und ihre winzige Zuflucht hat
in der Wildnis über den Wassern.
Lange hab ich als Stein gehaust
am Grunde der Dinge.
Aber ich habe die Glocke gehört
leise von deinem Geheimnis reden
in den fliegenden Fischen.
Ich werde fliegen und schwimmen lernen
und das Steinerne unter den Steinen lassen,
die Schwermut betten in Perlmutter,
doch den Zorn und das Elend erheben.
Meine Flügel sind älter als deine Geduld,
meine Flügel flogen dem Mut voraus,
der das Irren auf sich nahm.
Ich will das Brot mit den Irren teilen
dort in der furchtbaren Wildnis der Taube,
wo die Glocke das große Entsetzen drittelt
zum dreifachen Laut deines Namens.

* * *

Was mir vom ganzen Denken blieb,
das martert mich in deinem Namen,
ein Stern klebt noch am Fensterrahmen,
daran ich meine Stirne rieb,
um alles loszuwerden.
Der Mondschein geht auf Erden
in dieser Nacht verloren um,
die Hügel kauern stumm und krumm,
als ob sie heimlich litten.
Ich hab die sieben Bitten
des Vaterunsers aufgebraucht
und merke, wie ihr Sinn verraucht,
bevor die Lichter brennen.
Gott wird mich nicht erkennen.
Der Mondschein gleitet weg vom Haus,
der Stern vom Fensterrahmen -
nur was ich denke, löscht nie aus,
das brennt in deinem Namen.

მსურს შეშლილებთან გავიყო პური,
ყოველდღიური ერთი ლუკმა უსასოობის
და ზარი, გულში არსებული,
სადაც მტრედსა აქვს
პაწაწინა თავშესაფარი
უდაბნოსა და წყლების ზემოთ.
დიდხანს ქვად ვიყავ
საგანთა ფსკერზე,
მაგრამ მომესმა, ზარი ჩუმად
როგორ რეკდა შენს საიდუმლოს
მფრინავ თევზებში.
მე შევისწავლი ფრენას და ცურვას;
რაც ქვისაა, ქვებში დავტოვებ,
ხოლო სადაფში ჩავაწვენ ნაღველს
და ავამაღლებ რისხვას და ურვას.
შენს მოთმენაზე უხნესია ეს ჩემი ფრთები,
ჩემი ორივე ფრთა უძღოდა წინ სიმამაცეს,
რომელმაც ტვირთი სიგიჟისა მხრებზე დაიდგა.
მსურს შეშლილებთან გავიყო პური
მტრედის საზარელ უდაბნოში,
უსასოობას სადაც სამჯერ ამცირებს ზარი,
როცა შენს სახელს სამჯერ დარეკავს.

* * *

რაც ფიქრებიდან ვერ გავახუნე,
შენი სახელით მაწამებს, მახრჩობს,
ერთი ვარსკვლავი იმ ფანჯრის ჩარჩოს
შერჩა, შუბლით რომ გავეხახუნე,
რათა ყოველი გადამეშალა.
მთვარის სინათლე რაღამ შეშალა,
გზა დაბნეულია ამ შუაღამეს,
უბრად ჩამსხდარან ბორცვები, რამე
ფარული ტანჯვა აწუხებთ თითქოს.
მამაო ჩვენოს ვკითხულობ, ვითხოვ
შვიდჯერ, და ყველა გავხარჯე უკვე,
ვამჩნევ, თითქოსდა საკმეველს ფუკმევ,
ასე ქროლდება ყველა, ვით ერთი,
ვიდრე ინათებს. მე ვერ მცნობს ღმერთი.
მთვარის სინათლე შორდება სახლს და
ვარსკვლავი ფანჯრის ჩარჩოს მე ვიცი
დარჩება ფიქრი, არ უნდა ახსნა,
ის შენს სახელში ანთია, იწვის.

Ja, Herr, ich glaube an Doppelwisser!
Der meinige haust schon seit Jahren
eine Viertelspanne unter dem Herzen
und stiehlt meinen Augen die Tränen
und dem Kehlkopf das Zittern,
um lange voraus zu weinen.
Nie weiß ich zeitig, worüber er weint,
nie deutet er an, wem das Weinen gehört,
doch wenn es da ist, wiegt sich mein Herz
wie ein verzweifelter Mutterleib,
dem die Frucht innen abstirbt und schwillt.
Doch ist es mit nichts zu vergleichen,
mit keinem Leib- oder Seelen-Weh,
auch läßt es mit nichts sich vertreiben,
ehe um ist die Zeit.
Das kann oft Wochen dauern und Monde,
meistens aber nur sieben Tage,
bis dann eine äußere Botschaft kommt
und meldet, daß du wieder einmal
meiner einzigen Hoffnung die Wurzel zerstörst
sehr genau und verläßlich.
Dann schläft mein furchtbarer Bauch-Wisser ein
und gibt den Augen die Tränen zurück,
dem Kehlkopf das wimmernde Zittern,
im Herzen aber - mit jedem Mal mehr -
wächst der Zwang sich zu wiegen.

* * *

Trotzdem der Himmel ein Bleisarg wird
und die Erde steinern auf dein Geheiß,
beleibt und behauptet sich meine Seele
mit furchtsam erworbenem Fleisch und Blut
und seltsam verläßlichen Knochen,
die in Finsternis leuchten.
Es geht schon längst ein Geheimnis um
innerhalb meiner Verlassenheit
und verstellt ihre neunerlei Lichter,
bis fast keins mehr verrückt ist.
Erleuchtet, freilich, bleibt immer nur
der von dir errichtete Fegfeuerstand,
dem Himmel und Hölle gleich fremd sind
und wo Gott sich nie einmengt.
Und trotzdem weiß vielleicht Gott allein,
wovon seither meine Seele lebt
und wer zwischen Bleisarg und Felsen
deiner Blume ins Licht hilft.

დიახ, უფალო, მწამს, არსებობენ ორეული–ყოვლისმცოდნენი!
დიდი ხანია, ერთი მათგანი აქვე, ჩემი გულის ქვეშ სახლობს,
მისგან აშორებს მეოთხედი მტკაველი მხოლოდ.
ჩემს თვალებს იგი ცრემლებს ჰპარავს,
ჩემს ყელს კი ქვითინს,
რათა ყოველთვის მათზე უფრო ადრე იტიროს.
რის გამო ტირის, მე არასდროს არ მეუბნება,
არც მიმანიშნებს, ვის ეკუთვნის ცხელი ცრემლები,
მაგრამ ასეთ დროს ჩემი გული ღელავს, ირწევა,
ვით უნუგეშო, უიმედო დედის სხეული,
რომელშიც კვდება ნაყოფი და ლპება, სივდება.
თუმცა, ძნელია შევადარო იგი რაიმეს,
ფიზიკურ ანდა სულიერ ტკივილს,
ვერც ვერაფერი დააცხრობს და დააშოშმინებს,
ვიდრე თავად არ გაუვა ყავლი.
ხშირად კი ეს დრო განა დღეებს თვეებს მოიცავს,
უმეტესწილად მხოლოდ შვიდ დღეს,
ვიდრე გარედან არ მოვა მაცნე
და არ მაუწყებს, რომ კიდევ ერთხელ
შენ საბოლოოდ ფესვებს უჭრი და ანადგურებ
ჩემს შემორჩენილ, ერთადერთ იმედს.
მხოლოდ მას შემდეგ თუ იძინებს ჩემი მოსახლე,
ეს საშინელი ორეული–ყოვლისმცოდნე და
თვალებს უბრუნებს მოპარულ ცრემლებს,
ხოლო ყელს ქვითინს,
გული კი ყოველ ჯერზე ღელვისკენ
უფრო და უფრო მეტად ისწრაფვის.

* * *

მაშინვე, როცა ბრძანებებს გასცემ,
ცა ტყვიის კუბოდ გადაიქცევა, მიწა კი ლოდად,
და მაინც, ამის მიუხედავად, მიმტკიცდება სხეულში სული
შიშის დაძლევით მოპოვებულ სისხლით და ხორცით
და უცნაურად საიმედო, ბნელში თეთრად
ელვარე ძვლებით.
დიდი ხანია უკვე, რაც ჩემს მარტოობაში
იდუმალება იარება ჩაკეტილ წრეზე
და თავის ცხრავე ლამპარს უცვლის ხშირ–ხშირად ადგილს,
ვიდრე აღარცერთს არ ექნება შეშლილი სახე.
თუმც, მუდამ ერთი ადგილია განათებული,
შენ რომ ააგე, ის სენაკი განსაწმენდელის,
სადაც არასდროს იხედება ღმერთი და მისთვის
ცაც, ჯოჯოხეთიც ერთნაირად ორივ უცხოა.
შესაძლო არის, მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ რითი
სულდგმულობს ჩემი სული მას აქეთ,
ვინ ეხმარება ტყვიის კუბოს და კლდის ლოდს შორის
გზა გაიკვლიოს სინათლისკენ შენმა ყვავილმა.

თარგმანები შესრულებულია დათო ბარბაქაძის პროექტისთვის
„მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა" (ტომი XIII)

ვიცინოთ ერთად

ბავშვები საუბრობენ:
– მაძახებენ იმდენი ფული აქვს, რომ შუაძლია მთელი თბილისი იყიდოს!
– მაძახებენ ვეცყვი, რომ ამ მიჰყიდოს!

***

ინჟენერი ეკითხება მძღოლს:
– როგორ დაჯექით ასეთი ნაბვამი საჯ-�თან?
– ძმაკაცები მოეხმარენ

***

მეგობელი საღლაც შეკავს და მოხვდება ნნ-ვაგან. იქიდან ეცყვიან:
– ნნვაგან მოხვდით. ალბათ, შეცდომით აკრიფეთ ნომერი.
– როგორ ვეკადრებათ, ქალბატონო, ალბათ თქვენ აიღეთ უყურძილი შეცდომით

***

ძვილიშვილი ეკითხება ბაბას?
– ბაბა, მართალია, რომ ბორბოცებას ნიკეთით უნდა აკანესო?
– ხო ძვილო, მართალია.
– მაშინ მიყიდე ნაყინი. სათვალე ვა-ეიცხე.

ყლიენცი – ოფიციანცს
ყლიენცი: მოშიცანეთ ჩიგერშზლენმაშბრუნდ-ვალვიკინი ლიმონით!
ოფიციანცი: ჩიგერშზლენმაშბრუნდვალვიკინი რითი?

***

რაჯველი ეკიმს საყვდყრობს:
– ეკიმო, თქვენ რომ ლამით ჯამა ამიკრ-ძალეთ, მაგიცომ ვაგეცივდი.
– ძერე ეგ რა ძყაძია?
– როგორ თუ რა ძყაძია? მთელი ლამე ლია მაცივრის წინ ვიდექი და მოხარშულ ლდალს ვუყურებდი!

***

ბაცარა რაჯველს რუსული ენის მასწავლ-ებელი ეკითხება:
– აბა, რავიკო, როგორ იქნება ქართულად „ნაყა"?
– ნაყა ამის ბაცარა ნავი! – ვამარჯვ-ბული სახით უპასუხა რავიკომ

***

ძვილო, ვიორეი, ნუ ურცყავ მაგ ბავშვს ჩაქუჩს თორე ვაოფლიანდები და ვაცივდები.

გერმანიის ქართული სათვისტომოს ყოველთვიური გამოცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Zeitschrift des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დამფუძნებელი-გამომცემელი:
გერმანიის ქართული სათვისტომო
სათვისტომოს თავმჯდომარე: ლეონ დათაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმიდტი
ეკატერინე ცირიკაშვილი

ISSN 1868-6591

რედაქციის მისამართი:

Georgischer Verein in Deutschland e.V.
c/o Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de